# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 23 აგვისტო 2006 №194 (2816) ფასი 50 თეთრი




# ცვლილებები იქნება

## კლაუს ტოპმიოლერი: ქინქლაძეს არ ვიცნობ

საფრანგეთთან თამაშამდე ათი დღეღა დარჩა და 2 სექტემბრის მატჩისადმი ქართული საფეხბურთო მილეთის ინტერესი ბუნებრივია — ყველას ყველაფერი აინტერესებს. ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ჯერ არ ჩამოსულა თბილისში და მას გერმანიაში დავუკავშირდით...

— თბილისში კვირის ბოლოს, უქმეებზე ჩამოვალ — გვითხრა ჰერ კლაუსმა და მერე სხვაც ვკითხეთ...

— საფრანგეთთან მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სია საფარეროსგან განსხვავებული იქნება?

— ცვლილებები მართლაც იქნება და ამას პირველ რიგში ფეხბურთელთა ტრავმები განაპირობებს — საფრანგეთთან კალაძის და ხიზანიშვილის თამაშის შანსი 50/50-ზეა.

— ცვლილებები მხოლოდ დაცვაში იქნება?

— გამოძახებულთა სიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოგაწვდით, ეს მათი საქმეა.

— საფრანგეთთან მატჩისთვის გიორგი ქინქლაძეს გამოიძახებთ?

— მისი საკითხი საბოლოოდ ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

— მას ნაკრებისთვის საინტერესო ფეხბურთელად არ მიიჩნევთ?

— პირიქით, მისით ძალიან ვართ დაინტერესებულნი. ქინქლაძის გამოძახება რამდენჯერმე გვინდოდა, მაგრამ ტრავმირებული იყო.

— ახლა კი იგი აღარაა ტრავმირებული...

— ქინქლაძეს საფრანგეთთან და უკრაინასთან მატჩისთვის ალბათ არ გამოვიძახებთ, მისი გამოძახება 7 ოქტომბერს გერმანიასთან ამხანაგური მატჩისთვის გვინდა. ვიცი, რომ ქინქლაძე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მას ჯერ არ ვიცნობ.

— რუსეთში და უკრაინაში არ აპირებთ ჩასვლას იქ მოთამაშე ნაკრების კანდიდატების სანახავად?

— ამას საფრანგეთთან და უკრაინასთან მატჩების შემდეგ ვაპირებთ.

**დავით თაგართქილაძე**

# რუმინეთში 10 ქულით შევედით

**რუმინეთი 65:75 საქართველო**

*15:17 16:16 13:18 21:24*

**საქართველო:** გამყრელიძე, მარკოიშვილი (17), სანიკიძე (4), ვ.ბოისა (13), ფაჩულია (20), ა.ბოისა (10), ცინცაძე (3), ტულუში (6), უგრეხელიძე (2)

**უნგრეთის** ტურნირმოლეული საქართველოს ნაკრები რუმინეთში ჩავიდა და გუშინ ქალაქ კლუჟში ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩი გამართა. ქართველებმა შეთხელებული შემადგენლობით ითამაშეს — წელკავის გამო გორდონ ჰერბერტის გუნდში ნატურალიზებულმა ამერიკელმა ტაირონ ელისმა ვერ ითამაშა, ვახტანგ ნაცვლიშვილს კი მუხლი აწუხებდა და მატჩისწინა მოთელვის შემდეგ მოედანზე ველარ გავიდა.

ზაზა ფაჩულიას წინამძღოლობით ქართველებმა იოლი გამარჯვება კი მიითვალეს, მაგრამ მსაჯობა რომ კეთილსინდისიერი ყოფილიყო, ალბათ უფრო დიდი სხვაობით დაამარცხებდნენ მასპინძლებს.

ფაჩულიასთან ერთად გამოსარჩევია მანუჩარ მარკოიშვილის ბარაქიანი გარჯა. მანუს 17 ქულა აქამდე არასდროს ჩაეგდო ეროვნული ნაკრების მაისურით და გუშინ სწორედ ამდენი შემატა თავისიანებს.

ჩვენი ნაკრები დღეს გაემგზავრება რუმინეთის ქალაქ ორდეაში, სადაც ხვალიდან ოთხთა ტურნირში ჩაებმება. ქართველების მეტოქეები იქნებიან რუმინეთის ეროვნული ნაკრები, უნგრული „დებრეცენი“ და სერბული „ვოევოდინა“.

# ამერი თავის შანსსა და ჰერტას ძალაზე

... სწორი თამაში, მონდომება და იღბალი — თუ ეს ყველაფერი ჩვენ მხარეს იქნება, წარმატების შანსი გვაქვს...

... „ჰერტა“ კარგი გუნდია და მასთან დიდი ყურადღებით და მონდომებით უნდა ვითამაშოთ...

... სერიოზული მეტოქე გვყავს და ძალიან ძნელი თამაში გველის. გულშემატკივრებს ვთხოვთ, მხარი დაგვიჭირონ...

... „ჰერტა“ შეტევაში ძალიან ძლიერია. მეტოქის ძლიერი მხარეები უკვე ვიცით...

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში თბილისის „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა ბერლინის „ჰერტასთან“ მატჩამდელი პრესკონფერენცია გამართეს.

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის წინ ამერელები თავს მხნედ გრძნობენ და მეტოქეს არ უშინდებიან.

დღეს კი „ჰერტას“ ჯერია: ბერლინური კლუბი საღამოს შვიდის ნახევარზე სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შეხვდება ჟურნალისტებს.




UEFA CHAMPIONS LEAGUE

# დამინუსებულ მილანს შეუძლია, ტრანსფერებზე იფიქროს: ბელგრადი მშვიდობით მოიარა



AFP ბელგრადიდან

ცრვენა ზვეზდა — მილანი 1:2. ფილიპო ინძაგის საგოლე დარტყმა

# გოგა გახოკიძე: ფრანგების ბრექი ჩვენი შანსია



ათ დღეში ეროვნული სტადიონი ვულკანს დაემსგავსება. ყველანი 2 სექტემბრის მოლოდინში ვართ — მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრების ჩამოსვლა, სტადიონის გახსნა და შესარჩევი ციკლის 6:0-ით დაწყება... საქართველო სამქულიანი მარაგით ხვდება პოსტზიდანისეულ საფრანგეთს და ჩვენი ლეგიონერებისადმი ინტერესიც დღითიდღე იზრდება. გოგა გახოკიძეს კარგა ხანს ტრავმა ჰქონდა, თუმცა უკვე გამოჯანმრთელდა და კარგ განწყობაზეა — ამ ათ დღეში კიდევ ორი თამაში მაქვს „ტვენტეში" და, თუ ფრანგებთან სათამაშოდ გამომიძახეს, სრულ მზადყოფნაში ვიქნებიო...

## ტვენტელი ფეხს და ფერს არ უჩივის

— კვირას „ჰერაკლესთან" 0:3 წაგებულ მატჩში ბოლო 25 წუთი ითამაშე. ტრავმის კვალი კიდევ გეტყობა?

— არა, ყველაფერი კარგადაა. ეგაა, ცოტა ფრთხილად ვთამაშობდი. ხუთშაბათს ტალინში „ლევადიას" ვხვდებით უეფას თასზე, კვირას კი პსვ-სთან გვაქვს საშინაო მატჩი...

— ანუ 2 სექტემბრისთვის ფორმაში იქნები?

— რა თქმა უნდა. წარმომიდგენია და თან ვერც წარმომიდგენია, რა მნიშვნელობისაა 2 სექტემბრის თამაში. ვიცი, რა მოლოდინია საქართველოში. ფარერებთან შთამბეჭდავი მოგებით ხალხს იმედი მიეცა და საქართველოს ნაკრები უნდა ეცადოს, საფრანგეთთანაც კმაყოფილები დატოვოს გულშემატკივრები.

— ფარერები სუსტი ნაკრებია, თუმცა კარგად გვენიშნა, რომ დიდი ანგარიშის მიუხედავად, ტემპი არ დაგიგდიათ და უტევდით...

— მოდით, ასე ვთქვათ: ფარერები სუსტი კია, მაგრამ საქართველომაც კარგად ითამაშა. მთლად წყალწაღებული გუნდიც არ ჰყავთ ფარერებს, სტუმრად 6:0 რომ მოუგო.

— კლაუს ტოპმიოლერმა რა გითხრათ თამაშის შემდეგ, ბევრი შენიშვნა ჰქონდა?

— მწვრთნელს დეტალური გარჩევა არ დაუწყია, ამის დრო არც იყო. აი, საფრანგეთთან მატჩამდე გუნდი ხუთი დღე იქნება შეკრებაზე და ანალიზიც მაშინ გაკეთდება. ეგაა, ფარერებთან ხშირად უბრალო სიტუაციებში ვკარგავდით ბურთს და საფრანგეთი ამას არ გაპატიებს. მოკლედ, ყველანი კმაყოფილები ვიყავით თამაშის შემდეგ, მაგრამ ავტობუსში რომ ჩავსხედით, ისეთი ამბავი გავიგეთ... რა კარგად ითამაშა დავით მუჯირმა და რა გოლი გაიტანა, მაგრამ სიხარული ჩაგვიმწარდა...

— საერთოდ, დიდი ტურნირების შემდეგ ძლიერ ნაკრებებს ჩავარდნა ეწყებათ ხოლმე, თანაც საფრანგეთს ზიდანი და კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი გამოაკლდა. როგორ გგონია, რამდენად დიდი პლუსია ეს საქართველოსთვის?

— ჩავარდნაზე რა გითხრათ... შესაძლოა, ფრანგებმა ისე ვერ ითამაშონ, როგორც მუნდიალზე, მაგრამ მაინც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებია. და ისეთი თაობა ჰყავს, კიდევ კარგა ხანს დარჩება გრანდად. ჩვენი შანსი კი ისიცაა, რომ ფრანგები ცოტა ბრექით ჩამოვლენ საქართველოში, მათთვის ხომ მაინც აუტსაიდერები ვართ.

— საფრანგეთის შემდეგ ოთხ დღეში უკრაინაშია თამაში. ეს კარგია თუ ცუდი, გადაღლილობის ფაქტორი არ იმოქმედებს?

— ვფიქრობ, კარგია. ოთხ დღეში ერთხელ კლუბებშიც ხშირად გვიწევს თამაში და კარგი იმ მხრივაა, რომ უფრო შეთამაშებულები ჩავალთ უკრაინაში.

**ილია ნანოგაშვილი**

## ფრანგებმა სტადიონები გადათვალეს

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, რაიმონ დომენეკის გუნდი 11 ოქტომბერს ფარერებს სოშოში, „სტად ბონალზე" დაუხვდება.

საინტერესოა, რომ „მამლებს" 102-წლიან ისტორიაში არასოდეს გაუმართავთ ოფიციალური მატჩი სოშოში.

ფედერაციის განცხადებით, სექტემბერში გაირკვევა ის სტადიონები, სადაც ფრანგები საქართველოს, ლიტვას, შოტლანდიას და უკრაინას უმასპინძლებენ.

6 სექტემბრის საფრანგეთ — იტალიის სტადიონი კი უკვე ცნობილია: „სტად დე ფრანსი".

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

მაკაბი (ისრაელი) 1:1 *ლივერპული (ინგლისი)* (1:2)
ოსასუნა (ესპანეთი) 1:1 *ჰამბურგი (გერმანია)* (0:0)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 1:2 *მილანი (იტალია)* (0:1)
*ვალენსია (ესპანეთი)* 3:0 ზალცბურგი (ავსტრია) (0:1)
*ბენფიკა (პორტუგალია)* 3:0 აუსტრია (ავსტრია) (1:1)

## ინგლისი

პრემიერლიგა

II ტური

უოტფორდი 1:1 ვესტ ჰემი
ტოტენჰემი 2:0 შეფილდი

ლიგის თასი

*ბირმინგემი* 1:0 შრიუსბერი
ბლეკპული 2:4პენ. (1:1, 2:2) *ბარნსლი*
ბორნმუთი 1:3 *საუთენდი*
როვერსი 3:5პენ. (1:1) *ლუტონი*
ბარნლი 0:1 *ჰარტლპული*
*ბერი* 2:0 სანდერლენდი
კარდიფი 0:2 *ბრედფორდი*
*ჩელტენემი* 2:1 ბრისტოლი
კრისტალ პალასი 1:2 *ნოთსი*
*დონკასტერი* 3:2 როჩდეილი
გრიმსბი 0:3 *ძრიუ*
*ჰერეფორდი* 3:1 ძოვენთრი
ჰადერსფილდი 0:2 *მენსფილდი*
*ჰალი* 2:1დ.დ. (1:1) ტრანმერი
*ლიდსი* 1:0 ჩესტერი
*ლესტერი* 2:0 მაკლსფილდი
*მილუოლი* 2:1 ჯილინგემი
*დონსი* 1:0დ.დ. (0:0) კოლჩესტერი
პიტერბრო 4:1პენ. (1:1, 2:2) იფსვიჩი
პლიმუთი 0:1 *უოლსოლი*
*ძარ* 3:2 ნორთჰემპტონი
*როტენჰემი* 3:1 ოლდჰემი
*სკანთორპი* 4:3დ.დ. (2:2) ლინკოლნი
სტოკპორტი 0:1 *დერბი*
სტოკი 1:2 *დარლინგტონი*
სუონსი 2:3დ.დ. (2:2) *უიკომბი*
სუინდონი 3:4პენ. (2:2) *ბრენტფორდი*

## გამპერის თასი

ბარსელონა 4:0 ბაიერნი

## შოტლანდია

თასი

*ალოა* 2:1 როსი
ეარი 6:7პენ. (0:0) *დანფერმლაინი*
ბრეჩინი 0:3 *ლივინგსტონი*
კოუდენბითი 0:5 *ფოლკირკი*
*დანდი იუნ.* 1:0დ.დ. (0:0) ერდრი
*ჰიბერნიანი* 4:0 პიტერჰედი
*მოზერუელი* 3:2 პარტიკი
ძუინი 1:2დ.დ. (1:1) *კილმარნოკი*
*ძუინზ პარკი* 5:3პენ. (0:0) აბერდინი
*სტ. ჯონსტონი* 4:0დ.დ. (0:0) ელჯინი
*სტ. მირენი* 3:1 სტენჰაუზმური

## საფრანგეთი

თასი

*მონპელიე* 3:0 გრენობლი
*კლერმონი* 1:0 გენგამი
*ისტრი* 2:1დ.დ. (1:1) გენიონი
*დიჟონი* 3:2 ბრესტი
ბასტია 3:5პენ. (0:0) *სეტე*
მეცი 0:1 *კრეტეი*
*ამიენი* 2:1 ლე ავრი
*რეიმსი* 1:0 კაენი
შატორუ 2:4 *სტრასბური*
აიაჩო 0:1 *ლიბურნი*

## შვედეთი

ალსვენსკა. XV ტური

ელფსბორგი 3:0 ჰალმსტადი
ჰელსინგბორგი 3:1 ჰამარბი

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გთავაზობთ ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩებზე დასასწრები აბონემენტების დაჯავშნას!

ჩვენი გუნდი თბილისში უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ უკრაინას, შოტლანდიას, ლიტვას და ფარერის კუნძულების ნაკრებს.

ხსენებული ექვსი ოფიციალური თამაშის გარდა, აბონემენტის მფლობელი საქართველოს ნაკრების ერთ ამხანაგურ თამაშსაც დაესწრება, ჯამში კი, ჩვენი გუნდის შვიდ შეხვედრას იხილავს!

ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ხუთი კატეგორიის აბონემენტი გაიყიდება:

- პირველი კატეგორია — 310 ლარი
- მეორე კატეგორია — 200 ლარი
- მესამე კატეგორია — 115 ლარი
- მეოთხე კატეგორია — 63 ლარი
- მეხუთე კატეგორია — 32 ლარი

აბონემენტის დაჯავშნის მსურველები 16 აგვისტოდან დაგვიკავშირდით ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა) 12 საათიდან 17 საათამდე შემდეგ ტელეფონზე: 877 990 970. საკონტაქტო პირი — ირაკლი ნაკაიძე.

*სფფ-ის მარკეტინგის სამსახური*

სარბიელელები თანავუგრძნობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს

მამის

გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ფედერაციის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს

მამის

გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი დავითნიძე, გიორგი დარჯანია, გიორგი ჩიხრაძე, ვახტანგ ხვადაგიანი და გიორგი დეკანოსიძე

# ამერის შანსი ჰერტასთან: სწორი თამაში, მონდომება და იღბალი

ხვალ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში თბილისის „ამერი" ბერლინის „ჰერტას" მასპინძლობს. ორი კვირის წინ „ჰერტამ" 1:0 დაამარცხა საქართველოს თასის მფლობელი და მინიმალური სხვაობით წაგება ამერელებს მომდევნო ეტაპზე გასასვლელ შანსს უტოვებს. გუშინ „ამერის" მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ და ფეხბურთელებმა — ვახტანგ ხვადაგიანმა, გიორგი დავითნიძემ და გიორგი დეკანოსიძემ მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართეს. პრესკონფერენციის დაწყებამდე კი „ამერის" პრესსამსახურის უფროსმა გიორგი დარჯანიამ გვაცნობა, რომ ბერლინის „ჰერტა", რომელიც დღეს ნაშუადღევს ჩამოდის, საღამოს შვიდის ნახევარზე გამართავს პრესკონფერენციას სასტუმრო „თბილისი მარიოტში"...

*ჩიხრაძე:* ჩვენს გუნდში კარგი განწყობაა, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. კარგი თამაში უნდა ვაჩვენოთ და შედეგზე ვითამაშოთ.

— „ჰერტასთან" პირველი მატჩის შემადგენლობა შეიცვლება?

— მონახაზი ჩამოყალიბებული გვაქვს, შემადგენლობის შერჩევამდე კი კიდევ ორი დღეა მოსაფიქრებლად. მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება.

— ორი ფორვარდით ითამაშებთ?

— როცა შედეგზე ვფიქრობთ, უნდა შევუტიოთ, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ჰერტა" ძალიან კარგად ანხორციელებს საპასუხო იერიშს და დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადადის. „ჰერტასთან" ორი ფორვარდით ვითამაშებთ, ოღონდ მათ ფუნქციებს შევუცვლით.

— „ჰერტამ" ბუნდესლიგის წინა ტურში „ჰანოვერს" 4:0 რომ მოუგო, ამ მატჩის ფირი ნახეთ?

— ფირი ვერ მოვიპოვეთ, თუმცა ამ მატჩის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მაქვს.

— რის ხარჯზე შეუძლია „ამერს" „ჰერტასთან" წარმატების მიღწევა?

— სწორი თამაში, მონდომება და იღბალი — თუ ეს ყველაფერი ჩვენ მხარეს იქნება, წარმატების შანსი გვაქვს.

— „ჰერტადან" ყველაზე უფრო ვის უნდა უფრთხოდეთ?

— მეტოქეს სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს — პანტელიჩი, ჟილბერტო, კაირო, ბაშთურქი...

*დეკანოსიძე:* „ჰერტა" კარგი გუნდია და მასთან დიდი ყურადღებით და მონდომებით უნდა ვითამაშოთ.

*ხვადაგიანი:* სერიოზული მეტოქე გვყავს და ძალიან ძნელი თამაში გველის. გულშემატკივრებს ვთხოვთ, მხარი დაგვიჭირონ.

*დავითნიძე:* „ჰერტა" შეტევაში ძალიან ძლიერია, მეტოქის ძლიერი მხარეები უკვე ვიცით.

— პირველ შეხვედრაში 0:1 რომ წააგეთ, ლოგიკური შედეგი იყო?

*ჩიხრაძე:* ვფიქრობ, ფრეს ვიმსახურებდით.

— ბერლინში 4-5-1 განლაგებით ითამაშეთ, როგორი იქნება „ამერის" ტაქტიკური სქემა თბილისში?

— ფრთხილად უნდა ვითამაშოთ და ამავე დროს შეტევაზეც ვიფიქროთ. „ჰერტას" ხელს არ უნდა აძლევდეს დაძაბული თამაში და დამატებითი დრო, რადგან ჩვენთან თამაშიდან სამ დღეში „ჰამბურგთან" აქვს მატჩი.

— „ჰერტასთან" საპასუხო მატჩამდე ალბათ უკვე შეიძლება ითქვას, რომ ევროსარბიელზე ნორმალურად ითამაშეთ...

— კმაყოფილების გრძნობა ფეხბურთელებს არ უნდა ჰქონდეთ, 0:1-ით კმაყოფილი ვერ იქნები. ბერლინში გოლი მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე რომ გავუშვით, ალბათ რაღაც დავაკელით, მატჩის ბოლოს მოვეშვით.

— ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „დინამოს" 2:0 მოუგეთ — ეს ალბათ „ჰერტასთან" მატჩისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო...

— „დინამოსთან" მატჩი „ჰერტასთან" მოსამზადებელი თამაში არ იყო, „დინამოსთან" მხოლოდ „დინამოზე" ვფიქრობდით, თუმც ამ გამარჯვებამ გუნდში კარგი განწყობა შექმნა.

**დავით თავართქილაძე**



## უკრაინამ საქართველოს კიევი გამოუგზავნა

**ევრო 2008-ის** შესარჩევი ციკლის მესამე ტურში საქართველო 6 სექტემბერს უკრაინას სტუმრობს. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეს მატჩი კიევურ „ოლიმპიისკიზე" გაიმართება და იქაური დროით 19 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ უკრაინელები წინა შესარჩევშიც ჩვენი მეტოქეები იყვნენ და მაშინ მათ ქართველებს ლვოვში უმასპინძლეს, შეხვედრა კი ოლეგ ბლოხინის გუნდის გამარჯვებით დასრულდა — 2:0.

**ჰაჰა ზალამბერიძე**

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

6 სექტემბერს უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართება ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის შეხვედრა უკრაინისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის. მატჩზე დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით ნომერზე: 877 900 902

შეიძინეთ „ამერი" — „ჰერტას" მატჩის ბილეთები „კროკოს" ყველა თბილისურ ბიუროში, „ამერის" სტადიონის ადმინისტრაციის შენობაში და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში. ბილეთების ფასი 1, 3, 5 და 10 ლარია. აგრეთვე იყიდება „ამერის" ყოველწლიური სეზონისწინა და საგანგებო სათასო ცნობარები და „ჰერტასთან" მატჩის პროგრამა



# ბოლო გაჩერება: ფინალი

## ქართველები რუსებს ვეღარ მოერივნენ



**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა პალანგის ტურნირის ფინალში რუს თანატოლებთან 1:2 წააგო. ანგარიში რუსებმა მე-15 წუთზე გახსნეს, რასაც 6 წუთში ლევან ყენიას საპასუხო მოჰყვა, თუმცა 50-ე წუთზე რუსებმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანეს.

ჰერბერტ ცანკერმა ფინალში ასეთი შემადგენლობა ათამაშა: მაკარიძე, *მინდორაშვილი (ბეგლარიშვილი), გეთიაშვილი, ბუკია (სორდია), კალანდია, მამუჩაშვილი, თარხნიშვილი, კვარაცხელია (სალარიძე), ხოკერაშვილი (ქანთარია), ყენია, ჯოხაძე (ბეროშვილი).*

ცხადია, რვაგუნდა ტურნირზე მეორე ადგილი ურიგო შედეგი არაა და ისიც გამოჩნდა, რომ ამ ნაკრებს პოტენციალი აქვს.

შეგახსენებთ, რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრები ცანკერის გუნდის ერთ-ერთი მეტოქეა ოქტომბერში გასამართ ევროშესარჩევ ციკლში — ჯგუფური ეტაპი სწორედ თბილისში ჩატარდება და რუსეთის გარდა, გერმანელი და მაკედონიელი ჭაბუკებიც გვესტუმრებიან.

პალანგის ტურნირზე დარჩენილი ადგილებიც განაწილდა:

მესამე-მეოთხე ადგილები
**ლატვია 0:4 პოლონეთი**
მეხუთე-მეექვსე ადგილები
**ბელარუსი 2:1 ლიტვა**
მეშვიდე-მერვე ადგილები
**უკრაინა 1:0 აზერბაიჯანი**

# ფარცხალაძემ, სად მე და სად ფეხბურთიო

**უკრაინაში** მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა ლევ ფარცხალაძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ კიევის „არსენალის“ ყიდვას არ აპირებს. ფარცხალაძემ უკრაინულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია უარყო და თქვა, რომ საფეხბურთო კლუბის პატრონობა მის გეგმებში არ შედის.

შეგახსენებთ, რომ თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ლევ ფარცხალაძე უკრაინის მოქალაქეა და ამ ქვეყნის მდიდარ ადამიანთა ოცეულში შედის.

**ქახა შალამბერიძე**

# დავით ყიფიანის თასი

## პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ გამოაქვეყნა იმ მსაჯთა სია, რომლებიც დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების პირველი ეტაპის საპასუხო შეხვედრებს მოემსახურებიან:

23 აგვისტო, ოთხშაბათი

**გურია** ლანჩხუთი — **ზესტაფონი** (0:5)
**მსაჯები:** კ. ჭაჭუა; ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე; პ. დოგრაშვილი

**მეშახტე** ტყიბული — **ტორპედო** ქუთაისი (0:2)
**მსაჯები:** ვ. ელისაბედაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე; ე. გოგინავა

**სამტრედია** — **ჩიხურა** საჩხერე (0:4)
**მსაჯები:** ხ. გაგნიძე; დ. მაღრაძე, მ. ლომსაძე; ი. შენგელია

**მერცხალი** ოზურგეთი — **ბორჯომი** (0:4)
**მსაჯები:** ზვ. ასკაროვლი; ზ. ხუციშვილი, ს. სპიცინი; გ. ვადაჭკორია

**მეშაქრე** აგარა — **დილა** გორი (4:0)
**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი; ი. უკლება, ზ. ფიფია; დ. გოგოლაძე

**ზოოვეტი** თბილისი — **სპარტაკი** თბილისი (1:3)
**მსაჯები:** ლ. სილაგავა; კ. გუდურაშვილი, გ. დოგრაშვილი; დ. კურტანიძე

**ლიახვი** თამარაშენი — **მერანი** თბილისი (0:2)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე; ზ. მენთეშაშვილი, ვ. ცინცაძე; ვ. გუმბერიძე

**მგლები** ზუგდიდი — **ბათუმი** (2:1)
**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; მ. ნაკაიძე

25 აგვისტო, პარასკევი

**მესხეთი** ახალციხე — **გაგრა** (1:2)
**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი; თ. ხუჭუა, ლ. თოდრია; ა. ნონიკაშვილი

31 აგვისტო, ხუთშაბათი

**ამირანი** თბილისი — **კახეთი** თელავი (1:3)
**მსაჯები:** ი. ურუშაძე; ბ. ჭიჭინაძე, ზ. გურგენაძე; დ. სანოძე

**ნორჩი დინამოელი** თბილისი — **ლოკომოტივი** თბილისი (2:2)
**მსაჯები:** დ. სანაია; ზ. ასკაროვლი, ო. მოლოდინაშვილი; კ. ტეფნაძე

1 სექტემბერი, პარასკევი

**მადაროელი** ჭიათურა — **ოლიმპი** რუსთავი (1:5)
**მსაჯები:** ა. გუნთაძე; ე. ნარმანია, ა. კოკაია; მ. ურუშაძე

# სულით კიევის დინამოელი

## ოთარ მარცვალაძეს ბანკირობაზე ეხუმრება



შეძლებს თუ არა ოთარ მარცვალაძე 2 სექტემბერს საფრანგეთთან თამაშს? კიევის „დინამოს“ სწრაფი ფორვარდი ვარჯიშს დღეს-ხვალ დაიწყებს, მაგრამ საფრანგეთი ფარერები არ არის, ფორმააღუდგენელი ფეხბურთელით თამაში გარისკო. ერთი სიტყვით, კლაუს ტოპმიოლერმა უკეთ იცის, რა და როგორ...

„მარცვალაძე ჯერ ვერ იქცა კიევის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად, მაგრამ პერსპექტიული ბიჭია და ვინ იცის, მალე ის გახდეს კიეველთა მთავარი გამტანი თავდამსხმელი“ — ვკითხულობთ ერთ-ერთ უკრაინულ ვებგვერდზე, სადაც ოთართან ვრცელი ინტერვიუა გამოქვეყნებული

**— ნახევარი წელზე მეტია, კიევის „დინამოში“ ხარ და რას ნიშნავს შენთვის ეს გუნდი?**

— კიევის „დინამო“ ჩემთვის ყველაფერია: კარიერა, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი და სიყვარული, რაც ამ გუნდის მიმართ გამაჩნია.

**— ენის პრობლემა არ გაქვს?**

— თავიდან მქონდა. ბავშვობაში რუსულ ენას არ ვსწავლობდი, თუმცა უკვე ყველაფერი მესმის.

**— როგორი გრძნობით დაშორდი „ვიტ ჯორჯიას“?**

— საწყენია, როცა მშობლიურ კლუბს შორდები, მაგრამ კიევშიც კარგად ვარ. აქ ბევრი მეგობარი გავიჩინე, განსაკუთრებით ტარას მიხალიკთან ვმეგობრობ. ისე კი, ყველამ თბილად მიმიღო.

**— როგორ ატყობ, საქართველოსა და უკრაინას შორის საერთო ბევრია?**

— ალბათ, რაღაც არის. აქ კარგი ხალხია — ქართველებივით კეთილები.

**— ვარჯიშების მხრივ დიდი განსხვავებაა?**

— რა თქმა უნდა. უკრაინაში უფრო დიდი დატვირთვებია და, ალბათ, ამიტომაცაა აქ უკეთესი გუნდები.

**— პირადად შენს თამაშს ატყობ პროგრესს?**

— როცა ზამთარში მოსამზადებელი ეტაპი გავიარე, მაშინვე ვიგრძენი უკეთესობა.

**— „დინამოში“ რისი მიღწევა გსურს?**

— ჩემგან ყველა კარგ თამაშს ელის და ჩემი საქმე უნდა გავაკეთო — „დინამოსთვის“ ყველაფერს გავიღებ.

**— ამ სეზონში რა მიზნები გაქვთ?**

— პირველ რიგში, ჩემპიონთა ლიგაში თამაში, მერე კი უკრაინის ჩემპიონატი.

**— თუ ერთხელ მაინც ითამაშებ კიევის „დინამოში“, სამუდამოდ დარჩები სულით დინამოელი — ეთანხმები ამ აზრს?**

— ვეთანხმები, ეს კიევურ კლუბს აშკარად ახასიათებს.

**— მინდორზე ყველაზე უკეთ ვის ეწყობი?**

— ძნელი სათქმელია, როცა სტაბილურად და ხშირად ვითამაშებ, მაშინ გიპასუხებთ.

**— რამდენიმე სიტყვა საქართველოს ნაკრებზეც გვითხარი...**

— თებერვალში ვითამაშე მალტის ტურნირზე, მერე პარაგვაისთან ამხანაგურ მატჩში. რამდენიმე დღის წინ კი საქართველომ შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში ფარერებს 6:0 მოუგო, თუმცა მეტოქე ძალიან სუსტი იყო და მთავარი თამაშები წინაა. ახალი მწვრთნელი გვყავს და, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

**— რომელ ევროპულ კლუბში თამაშზე გიოცნებია და, შენი აზრით, რომელ ქვეყანას აქვს ყველაზე ძლიერი ჩემპიონატი?**

— ჩემპიონატის მხრივ, ალბათ, ინგლისური პრემიერლიგაა პირველი — საყურებლადაც სასიამოვნოა. საყვარელი კლუბი კი „ბარსელონაა“.

**— ხშირი ურთიერთობა გაქვს სხვა ქართველ ფეხბურთელებთან?**

— კი, ბევრი მათგანი ჩემი მეგობარია, ტელეფონით ველაპარაკები. უკრაინაში ვინც თამაშობს, ყველას ვიცნობ.

**— გატანილი გოლის ორიგინალურად აღნიშვნა იცი?**

— გამორჩეული რიტუალი არ მაქვს, გოლებს სხვადასხვანაირად აღვნიშნავ.

**— ცრუმორწმუნე ხარ?**

— არა. უბრალოდ, თამაშის წინ ვლოცულობ და ეს მეხმარება.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— კიევის არსენალელ ლაშა ჯაკობიასთან და ჯაბა კანკავასთან ერთად ვცხოვრობ, რადგან მათ ჯერ ბინა არ აქვთ. როცა გვცალია, ქალაქში ვსეირნობთ, ჩაის ვსვამთ, ხანდახან ქართულ რესტორანში შევდივართ.

**— აქაური სამზარეულო მოგწონს?**

— ძალიან. ბაზაზე ხშირად ამზადებენ უკრაინულ კერძებს. მე კი განსაკუთრებით „სალიანკა“ მიყვარს.

**— სპორტის სხვა სახეობები თუ გიყვარს?**

— ძალიან მიყვარს ჩოგბურთი, თუმცა აქ არ ვთამაშობ. საერთოდ, ტელევიზორს ხშირად ვუყურებ — სხვადასხვა ფილმებს, სპორტს...

**— მუსიკა?**

— თავისთავად. მუსიკის გარეშე ცხოვრება შეიძლება?!

**— ოჯახის ჩამოყვანას არ აპირებ კიევში?**

— მშობლები არ მყავს. ორი უფროსი ძმა, რომლებიც საქართველოში ოჯახებით ცხოვრობენ — სულ ესაა ჩემი ოჯახი. ხანდახან ჩამოდიან ხოლმე სტუმრად.

**— ძმები თამაშობენ ფეხბურთს?**

— ერთი თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“.

**— ბავშვობაში კერპი არ გყავდა?**

— საუკეთესო წლებში რონალდოს თამაში ძალიან მომწონდა.

**— ფეხბურთი რომ არა, რა პროფესიას აირჩევდი?**

— არ ვიცი. ალბათ, საქართველოში რაიმეს მოვახერხებდი, მაგალითად, ბანკირი გავხდებოდი... ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**— ამ წუთში რა საფეხბურთო ოცნება გაქვს?**

— მოვხვდე კიევის „დინამოს“ ძირითადში, დიდხანს შემოვრჩე ფეხბურთს და ვითამაშო ჩემპიონთა ლიგაში.

# მანჩესტერის განათლების კომიტეტის ლაშქრობა ბრაიან და ავი გლეიზერებზე



გლეიზერების ოჯახი თავდასხმას გადაურჩა



**მალკოლმ გლეიზერს და მის ვაჟებს — ბრაიანსა და ავის, უჯობთ დაცვა გაიძლიერონ, რადგან კვირას, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ფულემის“ მატჩის დამთავრებიდან ხუთი საათის შემდეგ მათ წინააღმდეგ ფანებმა გაილაშქრეს. ამბავი ქალაქის ცენტრში „ვიქტორია ენდ ალბერტ ოტელთან“ მოხდა, სადაც დაუყოვნებლივ გამოიძახეს პოლიციის საგანგებო რაზმი. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, თავდასხმას აშკარად ეტყობოდა, რომ დაგეგმილი იყო, თუმცა, ალბათ, მაინც ნაჩქარევად და აგრესორთა 30 კაციანმა ჯგუფმა სანადელს ვერ მიაღწია**



უეინ რუნი



ლუი საა

**როგორც** ჩანს, ქალაქში ვილაცამ გაავრცელა ხმა, რომ ბრაიანი და ავი დასახელებული სასტუმროს ამა და ამ ნომერში იყვნენ და ყველაფერი ამას მოჰყვა. სასტუმროს პერსონალს სტუმრების ევაკუაცია მოუხდათ, გარეთ შეკრებილი ფანები კი კონკრეტული (მათი აზრით ბრაიან და ავი გლეიზერების) ფანჯრებისკენ იყურებოდნენ და იქაური ბინადრების გარეთ გამოყვანას ითხოვდნენ. პოლიციის რამდენიმე სპეცმანქანასთან ერთად სასტუმროსთან სახანძროც გამოჩნდა, თუმცა იმის დარწმუნებით თქმა, რომ გლეიზერები იმ წუთებში იქ იყვნენ, შეუძლებელია. მეტიც, ზოგი მონაცემით იმ დროს „ვიქტორია ენდ ალბერტში“ ბრაიანი და ავი სწორედაც რომ არ ბრძანდებოდნენ.

მომხდარის შესახებ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ იცის, მაგრამ რაიმე კომენტარისგან თავს იკავებს. ფაქტია ისიც, რომ გლეიზერებს თავიანთი დაცვის სამსახური ჰყავთ და ეს ხალხი მათი ფლორიდიდან გამოფრენის წინ სხვადასხვა სასტუმროში სხვადასხვა სახელით დაჯავშნიდა ნომრებს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ გლეიზერები ტრადიციულად დაბნელებულ მინებიანი, დაცული მანქანებით დადიან.

აქ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ ბრაიან გლეიზერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ოჯახსა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებს შორის პრობლემა აღარ არის, მაგრამ როგორც გაირკვა, სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარად ყოფილა. თურმე მანჩესტერში გლეიზერების ოჯახი სწორედ ახლა სძულთ ყველაზე მეტად და მის წინაამდეგ ლაშქრობებს ფანების არაოფიციალური სპეცდანაყოფი, ეგრეთწოდებული „მანჩესტერის განათლების კომიტეტი“ გეგმავს და აწყობს.

გულშემატკივრის ზოგად გაღიზიანებას აძლიერებს ისიც, რომ მათი საყვარელი თავდამსხმელი უეინ რუნი, რომელმაც „ფულემთან“ შეხვედრაში ხუთიდან ორი გოლი გაიტანა, იძულებულია სეზონის წინ, ამსტერდამში, ახანაგურ თამაშში გაძევების გამო მომდევნო სამი მატჩი გამოტოვოს, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ „იუნაიტედში“ თავდამსხმელების ნაკლებობაა — მოგეხსენებათ, მანჩესტერელებმა ამ ზაფხულს მადრიდის „რეალს“ ჰოლანდიელი რუუდ ვან ნისტელროი მიყიდეს და ახლა იმ 30 გოლს, რომელიც მას სეზონის განმავლობაში გაჰქონდა, რამე უნდა მოუხერხონ.

სხვათა შორის, იმავე ამსტერდამულ შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოედნიდან პოლ სქოულზიც გაუძევეს და მასაც სამი თამაშის გამოტოვება მოუხდება, ოღონდ ეგაა, სქოულზი თავდამსხმელი არ არის და მისი არყოფნა მართალია, დანაკლისი იქნება, მაგრამ რაიმე კრიზისს არ გაუსვამს ხაზს.

აღსანიშნავია, რომ როგორც ჩანს სერ ალექს ფერგიუსონი ახალი თავდამსხმელის ყიდვას არც აპირებს და რუნის, ლუი საასა და კრიშტიანუ რონალდუს იმედად რჩება. სხვათა შორის, ჩამოთვლილთაგან კვირას „ფულემის“ კარში ყველამ გაიტანა, თუმცა თავად რუნი საკითხს ცოტა სხვანაირად უყურებს. მისი აზრით ვან ნისტელროის შეცვლაზე ყველამ უნდა იზრუნოს და ეს ძნელი დავალება მხოლოდ თავდამსხმელებს არ უნდა აჰკიდონ ზურგზე.

„ძალიან ბევრი ითქვა, რომ ჩვენ რუუდს ვერ შევცვლით. საპირისპიროს არ ვამტკიცებ, მაგრამ თუ იმ გოლებს, რომლებიც მას გაჰქონდა, მთელ გუნდზე გადავანაწილებთ, შესაძლოა დანაკლისი არც დაგვეტყოს“.

ფრანგი ლუი საა მას მერე, რაც 2004 წლის იანვარში „იუნაიტედში“ 12,8 მილიონ დოლარად გადავიდა, ფაქტობრივად, მეტწილად დაშავებულია და რეგულარულად ვერ თამაშობს. გასულ სეზონს კიდევ არა უშავდა, როდესაც უკვე 27 წლის ფორვარდმა 15 შეხვედრაში 13 გოლი გაიტანა და ფერგიუსონს შერისხული ვან ნისტელროი (მოგეხსენებათ, მწვრთნელმა და ჰოლანდიელმა გასულ სეზონში ერთმანეთს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ველარ გაუგეს) უფრო თამამად გააშვებინა გუნდიდან.

„ძალიან მწყინს რუუდი რომ წავიდა — ამბობს თავად საა — მაგრამ მისი წასვლის გამო მე რომ ბეჭებზე უზარმაზარი ტვირთი დამაწვება, არ მჯერა. მე ჩვეულებრივ შევეცდები გავაგრძელო კარგად თამაში, ვნახავ რა მოხდება. საკუთარი თავის რწმენის გასაძლიერებლად საუკეთესო საშუალება გოლების გატანაა და იმედი მაქვს, რომ ამას შევძლებ“.

**პაპუნა ძიძია**

# ჯვარედინი უიღბლობა



**„ვილიარეალის“** ნახევარმცველი რობერ პირესი დაახლოებით ექვსი თვე ვერ ითამაშებს. ამ ზაფხულს „არსენალიდან“ პრიმერადივიზიონურ კლუბში გადასულ ფრანგს მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა. ეს ამბავი კი „რამონ დე კარანსას“ თასზე „ვილიარეალისა“ და „კადისის“ შეხვედრისას მოხდა.

32 წლის პირესი მეორე ფეხბურთელია, რომელიც გუნდს ტრავმის გამო დააკლდება, პირველი კი გონსალო როდრიგესი გახლავთ. მან მადრიდის „რეალთან“ ამავე თასის მატჩში გაიწყვიტა მყესები და ფრანგივით ნახევარი წლით მოუწევს უქმობა.

„ორივე ფეხბურთელს ერთნაირი ტრავმა აქვს და მათ ოპერაციას გაუკეთებენ“ — განაცხადა „ვილიარეალის“ პრეზიდენტმა ფერნანდო როიგმა. მანვე თქვა, ამ მოთამაშეების შემცვლელების მოძებნაზე უნდა ვიზრუნოთო.

მადრიდის „რეალთან“ თამაშისას აგრეთვე დაშავდნენ ხოსიკო და ბრუნო. მათ დაახლოებით ერთი თვე გაუცდებათ.

შეგახსენებთ, რომ პრიმერადივიზიონი შაბათს იწყება და „რეალი“ „ვილიარეალს“ მასპინძლობს.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომელ კუნძულზეა ბელგრავია?

## პრემიერლიგის გაყიდვა გრძელდება: მუშტარი კაჭკაჭსაც გამოუჩნდა



ფრედი შეპერდი

ბრიტანეთში არის ასეთი საინვესტიციო ფირმა „ბელგრავია გრუპ“, რომელმაც გამოაცხადა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ აქციათა ყიდვა სურს. „ბელგრავიამ“ ფეხბურთის კლუბის შეძენის სურვილი, ამერიკელი მილიარდერის, რენდი ლერნერის მიერ „ასტონ ვილას“ 62,6 მილიარდ დოლარად ყიდვიდან ერთი კვირის შემდეგ გამოთქვა. ფირმის ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ იგი ნიუკასლელებს თავის პირობებს და ინტერესს სთავაზობს, ხოლო რა პასუხს გასცემენ „კაჭკაჭები“, ჯერჯერობით უცნობია

„ბელგრავია გრუპ“ დაფუძნებულია ბრიტანულ კუნძულ ჯერსიზე. რამდენადაც ინგლისურ გაზეთებში დაიწერა, მას და „ნიუკასლ იუნაიტედს“ შორის პირველადი მოლაპარაკებები უკვე გაიმართა. ეწერა ისიც, რომ „კაჭკაჭების“ ყიდვით დაინტერესებულია აგრეთვე ამერიკული „პოლიგონი“ და ამ ცნობებმა კლუბის აქციები 16 პროცენტით გააძვირა. საბოლოოდ ისე გამოდის, რომ დღეს „ნიუკასლ იუნაიტედი“ მყიდველს 92 მილიონი გირვანქა სტერლინგი ანუ 173 მილიონი დოლარი დაუჯდება.

„პრემიერლიგა ეროვნულ ჩემპიონატთა შორის უმაღლესი დონისაა და მასში მონაწილეობა ყველას უნდა “ — განმარტავს ბოლო ხანს მიმდინარე ამბებს ლიდსის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის სპორტული მენეჯმენტისა და ფინანსების პროფესორი ბილ ჯერარდი. იგი ამბობს, რომ „ასტონ ვილას“ მაგალითმა ინგლისურ კლუბებს თვალნათლივ დაანახა — მათ გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვა შეუძლიათ.

„ინვესტორებისთვის ყველაზე მომხიბვლელი კლუბები ისინია, რომელთაც ზურგს ისტორია და საინტერესო გეოგრაფია უმაგრებთ. ამ თვალსაზრისით „ნიუკასლი“, რა თქმა უნდა საგანგებოდ მიმზიდველია, რადგან აქვს ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი სტადიონი, ჰყავს ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ერთგული ფანები და დიდი ისტორია აქვს“ — ამბობს პროფესორი.

და მართლაც, ინგლისის ჩრდილოაღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ნიუკასლში, უფრო სრულად კი ნიუკასლ აპონ ტაინში 1802 წელს დაარსებული კლუბი ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი და ექვსგზის თასის მფლობელია, თუმცა ეგაა, რომ ჩემპიონი 1927 წლის შემდეგ არ გამხდარა, თასი კი 1927 წლის შემდეგ არ მოუპოვებია. მისი ყველაზე მსხვილი აქციონერები ამჟამად არიან 1990-იან წლებში კლუბის ცნობილი თანათავმჯდომარის ჯონ ჰოლის ვაჟი დაგლას ჰოლი (41 პროცენტი) და მისი ახლანდელი თავმჯდომარე (ოდესღაც ჰოლის პარტნიორი) ფრედი შეპერდი — 28 პროცენტი.

რაც შეეხება „ბელგრავია გრუპს“, იგი მრავალმხრივი ფირმაა რომელსაც აქვს საკრედიტო ბარათების, ტელეკომუნიკაციების, ავიაციის, სასტუმროების, კონსტრუქციების და სხვა ბიზნესი. ფირმას ამჟამად ხელმძღვანელობს მავანი დანკან ჰიკმენი და დაახლოებით 2 მილიარდის აქტივით იწონებს თავს.

**პაპუნა ძიძია**



# ობაფემი მარტინსს ბეჭედი აკლია

**ობაფემი მარტინსმა** დაადასტურა, რომ „ინტერიდან“ „ნიუკასლში“ მისი ტრანსფერი მოგვარებულია და დღეს, ალბათ, ბეჭედი დაესმება. მილანური კლუბი 10 მილიონ 500 ათას გირვანქას მიიღებს, ხოლო ნიგერიელის ჯამაგირი კვირაში 45 ათასი იქნება.

„ჩემი ამბავი გადაწყდა, საქმის დასრულებას ბევრი აღარაფერი უკლია — თქვა მარტინსმა — პრემიერლიგაში თამაშის პერსპექტივამ მომხიბლა და ვიმედოვნებ, რომ „ნიუკასლში“ არ გამიჭირდება.“

„ნიუკასლი“ ბრემენის „ვერდერის“ მთავარმეგოლე, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ მიროსლავ კლოზეს ყიდვას ცდილობდა, მაგრამ „მუსიკოსებმა“ უარით გაისტუმრეს.

„ვერდერი“ ჩემპიონთა ლიგაშია და მათ აგვიხსნეს, რომ ფეხბურთელი არ იყიდება“ — განაცხადა მწვრთნელმა გლენ რიოდერმა, რომელმაც ვერც ჩარლტონელი დარენ ბენტი გადაიბირა და ვერც ფეიენოორდელი დირკ კუტი.

ობაფემი მარტინსის მისვლით „კაჭკაჭთა“ თავდასხმის ხაზში პრობლემები მოგვარდება. შეგახსენებთ, რომ მაიკლ ოუენის ტრავმა „ერთწლიანია“, ხოლო ალან შირერმა კარიერა დაასრულა.

გუშინ კი „ნიუკასლიდან“ ტურინში „იუვენტუსთან“ მოსალაპარაკებლად ჟან ალენ ბუმსონგი ჩავიდა. „იუვე“ 3 მილიონ გირვანქად ყიდულობს ფრანგს, რომელიც „ნიუკასლმა“ „რეინჯერსიდან“ შარშან 8 მილიონად შეიძინა.

# სწრაფი და იაფი ტინგა

**ბუნდესლიგის** „დორტმუნდი“ გახარებულია იმით, რომ ბრაზილიური „ინტერნასიონალიდან“ ნახევარმცველ ტინგას ტრანსფერი სწრაფად გაჩარხა.

28 წლის ფეხბურთელი უკვე დორტმუნდშია, მის სანაცვლოდ ოდენ 3 მილიონი ევრო გადაიხადეს და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. „შავყვითლებს“ ბრაზილიელისა დიდად ეიმედებათ.

რამდენიმე დღის წინ, კოპა ლიბერტადორესის ფინალურ მატჩში ტინგამ გოლი გაიტანა, მისმა გუნდმა კი თასი მოიგო, თუმც გოლის გამტანი მაისურის გახდის გამო გააძევეს.

„ძალიან გვიხარია, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელით გავამდიდრეთ გუნდი“ — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა მიხაელ ცორკმა.

ტინგა: „დორტმუნდზე“ დიდი მელაპარაკა და მეც მოვიხიბლე მისი მონათხრობით. მალე დავამტკიცებ, რომ ჩემში ფული ტყუილად არ გადაუყრიათ.“

ბრაზილიელამდე „დორტმუნდმა“ სამი ცნობილი ფეხბურთელი შეიძინა (ალექსანდრე ფრეი, ნელსონ ვალდესი და სტივენ პიენაარი), მაგრამ ბუნდესლიგის ორ ტურში ჯერ მხოლოდ ქულის აღება შეძლო. დორტმუნდელებს „შეფილდ იუნაიტედში“ განათხოვრებული დერლონ ბაკლიც დაუბრუნდათ.

**გიორგი დარჯანია**





ოუენ ჰარგრივსს სათადარიგოთა სკამზე ჩაეძინა



ული ჰიონესი

# ვისაუბროთ ინგლისურ ამინდზე და ჩაიზე

## ჰიონესმა ოუენს ენა და კბილი ურჩია

**წყალი** არ გაუვა: ოუენ ჰარგრივსს მიუნხენის „ბაიერნიდან“ წასვლა და „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაში უნდა. რამდენადაც ცნობილია, მანჩესტერელები გერმანულ კლუბს კანადური წარმოშობის ინგლისელში 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობენ, მაგრამ ბავარიელთა გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი 25 წლის ნახევარმცველს პრინციპულად არ ყიდის და აცხადებს:

„მას ურჩევნია ენას კბილი დააჭიროს თორემ მართლა გავბრაზდები და მთელი ეს ისტორია მისთვის კარგად არ დამთავრდება. ჩვენი ორი საუბრის შემდეგ მაინც თავისას რატომ გაიძახის, გაუგებარია. გამორიცხულია, წასვლის ნებას არ მივცემთ. სხვა გზა არ დარჩენია, ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებების პატივისცემა უნდა ისწავლოს. ეს სულ უბრალო საკითხია. ჩვენ ახალგაზრდული, ძლიერი გუნდის შექმნას ვაპირებთ და ჰარგრივსისნაირი მოთამაშეები გვჭირდება. „ბაიერნი“ დიდი კლუბების დონორი არასდროს გახდება, არასდროს დასუსტდება და მუხლებზე არავის დაუდგება მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც თანხას შესთავაზებენ. როგორც კი გუნდი ასეთ რეპუტაციას შეიძენს, მისთვის ყველაფერი დამთავრდება. „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელ შეფს, დევიდ გილს შეუძლია ყოველ დილით რვის ნახევარზე დამირეკოს და ინლისურ ამინდსა და ჩაიზე მესაუბროს, ოუენ ჰარგრივსზე კი ნურაფერს მეტყვის“.

ჰარგრივსს კონტრაქტის თანახმად „ბაიერნში“ კიდევ სამი წელიწადი დარჩენია. საინტერესოა, რომ კვირას, ბუნდესლიგის მატჩში „ბოხუმთან“, რომელიც „ბაიერნმა“ 2:1 მოიგო, იგი არ ათამაშეს. ამბობენ, რომ გრიპით არის ავად.

**პაპუნა ძიძია**

# მეფურად თეთრი მაჰამადუ

## აფრიკა, ტელევიზორი და რეალი





ესეც ფაბიო კაპელოს მეოთხე ტრანსფერი — მაჰამადუ დიარა გუშინ მადრიდში ჩავიდა. „ლიონის" ექსნახევარმცველში „რეალის" თავკაცებმა 26 მილიონი ევრო გადაიხადეს. დიარა იმედით აღსავსეა, სამეფო თეთრი მაისურით მოედანზე გასვლას მოუთმენლად ელოდება და ამბობს, რომ „რეალი" მის შეძენას არ ინანებს. აფრიკელს მადრიდული „ასის" ჟურნალისტები გაესაუბრნენ

— „ლიონთან" მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და საბოლოოდ „რეალის" ფეხბურთელი გახდით. ალბათ, ეს თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო მომენტია...

— გეთანხმებით, ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ამისრულდა და „რეალში" ვითამაშებ.

— როგორ გრძნობთ თავს მადრიდულ გრანდში?

— თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ და მინდა, „რეალის" გამარჯვებებისთვის ბოლომდე ვიბრძოლო. ვიცი, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში მოვედი და ეს შანსი უნდა გამოვიყენო. პრიმერადივიზიონის დაწყებას მოუთმენლად ველოდები. ყველა ფეხბურთელი „სანტიაგო ბერნაბეუზე" ბურთაობაზე ოცნებობს. მე ძალიან გამიმართლა და უფლება არ მაქვს, „რეალის" ფანები ჩემი თამაშით უკმაყოფილონი დავტოვო.

—დღევანდელ „რეალში" რომელია თქვენი ფავორიტი ფეხბურთელი?

— ძალიან ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, „ბერნაბეუზე" ხომ ბექემი, რაული, რონალდო და რობერტო კარლოსი თამაშობენ... თუმცა ჩემი ფავორიტი მაინც ფაბიო კანავაროა, მას თავის პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესოდ ვთვლი. საერთოდ, „რეალი" დიდი გუნდია.

— ბევრი ამბობს, რომ დაცვა და მოედნის ცენტრში მეტოქისთვის ბურთისართმევა შესანიშნავად გეხერხებათ, თუმცა იერიშის დროს არც ისე ძლიერი ხართ...

— ეს სიმართლე არ არის, მხოლოდ დაცვაზე არ ვარ მომართული. ვინც ჩემზე ამას ამბობს, მოედანზე ჩემი თამაშით გავცემ პასუხს. მაჰამადუ დიარამ მხოლოდ დაცვა კი არა, მეტოქის იერიშით შეწუხებაც იცის.

— „ლიონი" — „რეალის" მოლაპარაკებებისას თუ იყო ეპიზოდი, როცა თქვენს „ბერნაბეუზე" გადმოსვლას საფრთხე დაემუქრა?

კი, როცა მოლაპარაკებები დაიწყო, ძალიან მეშინოდა, რომ გაუთვალისწინებელი პრობლემა არ წარმოიშვას და „რეალში" გადასვლაზე ხელი არ შემიშალოს-მეთქი. თავიდან ყველაფერი ცუდად მიდიოდა, რადგანაც მადრიდელები „ლიონთან" საერთო ენის გამონახვას ვერ ახერხებდნენ. მიუხედავად ამისა, იმედი არასოდეს დამიკარგავს და პარასკევს გვიან ღამით საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ესპანეთში გადავბარგდებოდი... „რეალმა" „ლიონს" ხელსაყრელი ფასი შესთავაზა და ფრანგებმაც უარი ვეღარ თქვეს.

— სატრანსფერო მოლაპარაკებების დროს ყველაზე მეტად ვინ გამხნევებდათ?

— მეგობრები და, რაც ყველაზე გასახარია, უცხო ადამიანებიც კი გვერდით დამიდგნენ. თუმცა ყველაზე მეტად ჩემი ოჯახი დამეხმარა. სულ ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას.

— ფიქრობთ, რომ განახლებული მადრიდის „რეალი" ესპანურ პრიმერას და ჩემპიონთა თასს მოიგებს? კაპელოს გუნდისთვის სეზონათაშორისში მოვლენები არცთუ ხელსაყრელად განვითარდა...

— რა თქმა უნდა, ლიგასაც მოვიგებთ და პრიმერადივიზიონსაც, რადგან ბრწყინვალე შემადგენლობა გვყავს. ამ სეზონში ყველაფრის მოსაგებად ვიბრძოლებთ.

— თავს „ბერნაბეუზე" მაკელელეს შემცვლელად გრძნობთ? ხალხი ხშირად საუბრობს ამის შესახებ...

— მაკელელეს შემცვლელი არ ვარ, მე მაჰამადუ დიარა მქვია. წინასწარ არ შემიძლია, ვთქვა, „რეალში" რანაირად ვითამაშებ, მაგრამ, როცა ესპანეთის ჩემპიონატი დაიწყება, ხალხი ერთ-ორ თვეში ნახავს ნამდვილი დიარას ფეხბურთს.

— თქვენი აზრით, რას იგრძნობთ, როცა, ახალი გუნდის ფორმით „სანტიაგო ბერნაბეუზე" პირველად გამოხვალთ?

— როგორც უკვე ვთქვი, ერთი სული მაქვს, „ბერნაბეუზე" „რეალის" მაისურით გამოვიდე. ძალიან ვღელავ, ამ სტადიონსა და ტრიბუნებზე შეკრებილ ინჩასებს რომ წარმოვიდგენ.

— 27 აგვისტოს ფაბიო კაპელოს გუნდი პრიმერადივიზიონის პირველ ტურში „ვილიარეალს" ეთამაშება. თუ არის შესაძლებელი, ამ დღეს დიარას დებიუტი ვიხილოთ?

— რა თქმა უნდა ჯერ „რეალთან" ერთად არ მივარჯიშია, მაგრამ მადრიდში უქმად ჯდომისთვის ხომ არ ჩამოვსულვარ.

— რა ნომრიანი მაისურით გსურთ ითამაშოთ?

— ჩემი ფავორიტი ნომერი შვიდია, „ლიონში" ფორმაზე სწორედ ეს რიცხვი მეწერა, მაგრამ თავადაც იცით, „ბერნაბეუზე" შვიდიანი რაულს ეკუთვნის. სხვა ნომრებიც მომწონს. როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, ექვსიანით, რვიანით და ცამეტითაც მითამაშია. ისე, ვთვლი, ფეხბურთელისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რა ნომრით იბურთავებს. მნიშვნელოვანი თავად „რეალში" თამაშია.

— კლუბმა უკვე შეგატყობინათ, რა ნომრით ითამაშებთ?

— არა, ჯერ არაფერი უთქვამთ ამის შესახებ.

— ზინედინ ზიდანის გვერდით თამაში გინდოდათ?

— დიდი სიამოვნებით დავდგებოდი ზიზუს მხარდამხარ, მაგრამ ეს შეუძლებელია, ზიდანი დიდი ფეხბურთიდან წავიდა. დიდებული მობურთალი იყო. მქონდა ბედნიერება, ამხანაგურ მატჩში მის გუნდში ვყოფილიყავი. მაშინ რონალდოს მეგობრებს ვეთამაშებოდით.

— გეტყობათ, „რეალთან" ერთად ყველა ტიტულის მოგება გინდათ...

— დიახ, მართლა ასე ვფიქრობ. სეზონში ყველა ჯილდოს მოგება ნებისმიერი გუნდისთვის ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენ მაინც მზად ვართ ამისთვის. ტიტულების მოპოვებისთვის შეუპოვრად უნდა ვიშრომოთ. ფეხბურთელები კი ბრწყინვალე გვყავს.

— რაც ახლა მაჰამადუ დიარასთან დაკავშირებით ხდება, ეს თქვენთვის ასრულებული ოცნებასავითაა?

— დიახ. როდესაც პატარა ვიყავი და აფრიკაში ვცხოვრობდი, „რეალის" თამაშებს ტელევიზორში ვუყურებდი და „ბერნაბეუზე" მოხვედრაზე ვფიქრობდი. მადრიდის დიდი ინჩასი გახლდით. ოთხი ფავორიტი გუნდი მყავდა — „რეალი", „ბაიერნი", „მილანი" და „მარსელი". თუმცა ამ ოთხიდან ყველაზე მეტად „რეალში" თამაშზე ვოცნებობდი.

— რას ეტყოდით მადრიდულ გულშემატკივრებს?

— მხოლოდ ის შემიძლია, ვუთხრა, რომ გუნდის გამარჯვებისთვის თავს არ დავზოგავ. ძალიან მინდა, „რეალში" ჯილდოები ვიზეიმო. ფანტასტიკურ გუნდში მოვხვდი და მზად ვარ, მოგების სანაცვლოდ მაქსიმუმი გავიღო.



# გალიანიმ რონალდო ნახა

**რონალდომ** ეგებ მადრიდის „რეალი" დატოვოს... ფაბიო კაპელომ განაცხადა, კიჭას „ბერნაბეუდან" წასვლა გამორიცხული არ არისო და მიაწყდნენ კიდეც „რეალის" პრეზიდენტ კალდერონის კაბინეტს მილანელი ემისრები. ბრაზილიელის ხელში ჩაგდება ორივე აპენინურ გრანდს უნდა — „მილანს" და „ინტერს".

„მილანთან" დაკავშირებით ჯერ გასარკვევია, ბერლუსკონის გუნდი რონიში ასტრონომიულ თანხას გადაიხდის თუ სატრანსფერო ოპერაციაში მადრიდელთათვის საოცნებო კაკას ჩართავს. იტალიელთა თავკაცი გალიანი რონალდოს ორი დღის წინ დაელაპარაკა და „სან სიროზე" გადასვლის შემთხვევაში „რეალზე" უკეთესი ჯამაგირი შესთავაზა.

„ინტერი" რონალდოს სანაცვლოდ „ბერნაბეუზე" ადრიანოს გაგზავნას აპირებს. ადრიანო „ნეროაძურის" მწვრთნელ მანჩინისთან უბრადაა, „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი კი ყოფილ ინტერელ რონალდოსთან მთელი ამ ხნის განმავლობაში მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა და მისთვის მიულებელია, რომ კიჭამ მოსისხლე მტრის, „მილანის" ფორმა მოირგოს.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუიშ ფიგუ ოჯახში ინგლისურად ფიქრობს



**33 წლის** ლუიშ ფიგუმ ინგლისში თამაშზე ოცნება ვერ ამოიღო გულიდან. პორტუგალიელს საინტერვიუოდ ლისაბონური „ა ბოლას“ კორესპონდენტებმა მიაკითხეს და მანაც მასლაათში ალბიონური ფეხბურთი დიდი მოწიწებით ახსენა.

„ინგლისი ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. სულ პრემიერლიგაში გადასვლაზე ვფიქრობდი, რადგანაც იქ განსხვავებულ, შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობენ, თუმცა ხშირად ბავშვობის ოცნებებს ასრულება არ უწერია“ — დანანებით განაცხადა პორტუგალიელმა.

ფიგუ მილანის „ინტერში“ 2005 წლის აგვისტოში მადრიდის „რეალიდან“ მივიდა. ლუზიტანს კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონით უწევს „სან სიროზე“ თამაში. „კარიერის ფინალურ წერტილს ვუახლოვდები და როგორც ოჯახის, ასევე პირადი მიზნების შესახებ დაფიქრება მმართებს. მოსაფიქრებლად კი წინ მთელი სეზონი მაქვს. ალბათ, მცდარ გადაწყვეტილებას არ მივიღებ.“

ლუზიტანთა ლეგენდა სკანდინაველ მოდელ ჰელენ სვედინზეა დაქორწინებული და სამი გოგონა ჰყავს. „ჯერ ოჯახს მოვუსმენ და სამომავლო გეგმებზე მერე ვიზრუნებ. შვილები მყავს, ამიტომაც ფრთხილად უნდა ვიყო“ — ამბობს „ინტერის“ მეშვიდე ნომერი.

შემთხვევა მიეცა და ისე როგორ იქნებოდა, ფიგუს „რეალისთვისაც“ არ გაეკრა კბილი: „ინტერში“ გალაქტიკოსები კი არა, პროფესიონალები ვართ, რალაც არაამქვეყნიურ არსებებად თავი არასდროს მიგვიჩნევია. დაახლოებით ასე იყო „რეალშიც“, ოღონდ მადრიდელთა მაშინდელ პრეზიდენტ პერესს საკუთარი თავი რატომღაც გალაქტიკოსი ეგონა. ანუ იქ ერთი „ელ გალაქტიკო“ იყო, დანარჩენები კი მობურთალები ვიყავით.“

ლუიშმა კარიერა 1990 წელს ლისაბონის „სპორტინგში“ დაიწყო. შემდეგ ესპანურ გრანდებში — „ბარსელონასა“ და მადრიდის „რეალში“ ითამაშა, სანამ 2005-ში „ინტერის“ შავ-ლურჯ ფორმას მოირგებდა.

2000 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელმა და ფიფას ვერსიით, 2001 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშემ, სანაკრებო კარიერა გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა. პორტუგალია გერმანულ მუნდიალზე მეოთხე ადგილზე გავიდა, ფიგუს კი 127-ჯერ სანაკრებო თამაში აქვს ჩატარებული.

**ლადო ხომერიძე**

# ანტონიო მატარეზე: ცხრაში ვიწყებთ



## სადაც გინდათ, იქ იჩივლეთ

**„ლეგა კალჩოს“** შეფი ანტონიო მატარეზე სრული დარწმუნებით ამბობს, რომ „იუვენტუსის“ რაგინდარა ინსტანციაში ჩივილის მიუხედავად, იტალიის ჩემპიონატი 9 სექტემბერს დაიწყება.

„ახალი სეზონის პირველი ტური 9-10 სექტემბერს, შაბათ-კვირას არის დანიშნული და ჩემი ამ განცხადებით სწორედ ამას ვადასტურებ — ბრძანა მატარეზემ — წინასწარმეტყველი არ ვარ და ვერ ვიტყვი, რა იქნება მომავალში, დღეს მხოლოდ შემიძლია ის მოგახსენოთ, რომ სერია A-სა და სერია B-ს კალენდარი 30 აგვისტოს რომში დამტკიცდება. რაც შეეხება „იუვენტუსს“, მესმის, რომ მას ისტორიის ძალიან დრამატული პერიოდი უდგას და დიდ პატივსაც ვცემ, მაგრამ პატივს ვცემ სხვა გუნდებსაც“.

შეგახსენებთ — ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში წარუმატებელი აპელაციის შემდეგ „იუვემ“ ოფიციალურად განაცხადა, რომ სამოქალაქო სასამართლოში იჩივლებს და, წესითა და რიგით, ლაციოს ტრიბუნალის წინაშე 6 სექტემბერს უნდა წარსდგეს. თუ ლაციოს სასამართლომ მიიჩნია, რომ „იუვენტუსი“ სერია A-ში უნდა აღდგეს, შესაძლოა ლაციოს სამსჯავრომ სეზონის დასაწყისი გადადოს კიდეც. საინტერესოა, რომ როგორც ლაციოს სასამართლოს პრეზიდენტმა პასკუალე დე ლისემ განაცხადა, არ არის გამორიცხული საქმის სპეციფიურობიდან გამომდინარე, აგვისტოში, გამონაკლისის სახით, დამატებითი სამუშაო დღეც გამოიყოს.

„ამის გამორიცხვა ნამდვილად არ მინდა, თუმცა კონკრეტული თარიღის დასახელება ჯერ ნაადრევია. საქმეთა განხილვის დღეა 22 აგვისტო, მაგრამ დაემატება მას 6 სექტემბრამდე ახალი დღე თუ ვერა, ფრთხილად მოსაგვარებელი საკითხია“.

**ბაკუნა ძიძია**

# მიგესის სიკვდილი



## დარჩა სამი: გიჯა, პასი და გონსალესი

**ურუგვაიში** 78 წლისა გარდაიცვალა 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ოსკარ „კოტორა“ მიგესი. მიგესი საავადმყოფოში წინა ხუთშაბათს გულის პრობლემების გამო მიიყვანეს. ის გახლდათ მუნდიალებზე ყველაზე მეტი, 9 გოლის გამტანი ურუგვაელი ფეხბურთელი. აქედან ხუთი მან 1950 წელს ბრაზილიაში გაიტანა, ხოლო კიდევ 4 — ოთხი წლის შემდეგ შვეიცარიაში დაამატა.

ოსკარ „კოტორა“ მიგესის გარდაცვალების შემდეგ ურუგვაიში მსოფლიოს სამი ჩემპიონილა დარჩა: ალსიდეს ედგარდო გიჯა — „მარაკანაზე“ ბრაზილიელთა კარში ტრიუმფალური გოლის (79-ე წუთზე ანგარიში 2:1 გახადა) ავტორი — ანიბალ პასი და ხუან კარლოს გონსალესი.

**ბაკუნა ძიძია**

# სამი წლით ბრავო



**რაულ ბრავომ** „რეალთან“ კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. სამეფო თეთრებს დაცვის მარცხენა ფლანგზე საიმედო სარეზერვო კაცი ეყოლებათ. ისე კი, ამ პოზიციაზე ძირითად გუნდში ბრაზილიელი რობერტო კარლოსია.

გარდა ამისა, „რეალის“ პრეზიდენტმა კალდერონმა მედიასთან საუბარში დაადასტურა, რუბენ გონსალესი სანტანდერის „რასინგს“ იჯარით დავუთმეთო. რუბენიც მცველია, კანტაბრიულ კლუბში იჯარით მომავალი ორი სეზონის განმავლობაში ითამაშებს და მწვრთნელად მიგელ ანხელ პორტუგალი ეყოლება, კაცი, რომელიც „რეალის“ სარეზერვო გუნდშიც მისი დამრიგებელი გახლდათ.

# ლაპორტამ შეაგროვა და დაამტკიცა

**ხუან ლაპორტას** არჩევნები აღარ დასჭირდება, რათა „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხელმეორედ გახდეს. ორშაბათ საღამოს აწ უკვე პრეზიდენტობის კანდიდატებმა სასამართლოს ამომრჩეველთა ხელმოწერები შესთავაზეს. ჟაუმე გუიშამ და ხორდი მედინამ საჭირო რაოდენობის ხელმოწერები ვერ მოაგროვეს. გუიშამ — 1694, ხოლო მედინამ 400 ხმა მოაქუჩა, ნორმა კი 1804 ყოფილა. ძლევამოსილმა ხუან ლაპორტამ 8078 ხელმოწერა მოაგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ კატალონიური კლუბისთვის დღევანდელი დიდების მომტანი ახალგაზრდა ადვოკატი ისევ პრეზიდენტია.

მედინამ და გუიშამ უკვე მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები.

**ლადო ხომერიძე**



# ნიჭიერი ტრიტკო

**გერმანულმა** „კოტბუსმა“ ახალგაზრდა პოლონელი პრჟემისლავ ტრიტკო შეიძინა ზაბჟეს „გურნიკიდან“.

18 წლის ფორვარდმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბუნდესლიგურ კლუბთან, შემდგომში სამი წლით გახანგრძლივების პირობით.

პოლონეთის 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელმა რამდენიმე დღე გაატარა „კოტბუსში“ სინჯებზე და მწვრთნელ პეტრიკ სენდერსს თავი მოაწონა.

„ტრიტკო ძალიან ნიჭიერია — განაცხადა კოტბუსელთა გენერალურმა მენეჯერმა შტეფენ ჰეიდრიხმა — მომავალში ის დიდი ფეხბურთელი გახდება. ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც შესანიშნავად ირჯება. ჯერჯერობით იგი ჩვენს 23-წლამდელთა გუნდში ივარჯიშებს და ითამაშებს“.

# ბედზე გამარჯვება




...რა თქმა უნდა, პელეს ნომრის მიღებამ სიამაყით ამავსო, თუმცა გარეგნულად ისევ ისეთი გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი დავრჩი. გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ ბრაზილიის ნაკრების ათნომრიან მაისურას არ შევარცხვენდი — მე თამაში ვიცი და ჩემს კრიტიკოსებს პასუხს ყველაზე მეტად, რივალდოს მოედანზე აქტიურობა აძლევს.

უფრო მეტსაც ვიტყვი: ბრაზილიას 1998 წლის მუნდიალზე თამაში ახალი დაწყებული ჰქონდა და მე მაისურის ნომერი და მასთან დაკავშირებული ამბები უკვე დამავიწყდა. საერთოდ, მოთამაშისთვის ნომერი, რომლითაც მოედანზე გამოდის, ნაკლებად მნიშვნელოვანია. თამაში ცუდი ან კარგი სხვა, ხშირად აუხსნელი მიზეზის გამო ხდება. წაგება ან მოგება ოსტატობაზეა დამოკიდებული და არა ლეგენდებზე. არც ერთ მობურთალს არ შეუძლია, ლეგენდად ქცეული ფეხბურთელის თამაშს ზუსტად მიბაძოს. მთავარია, ხალხს ის უჩვენო, რას წარმოადგენ და აუცილებლად დაგაფასებენ. საკუთარ თავზე შემიძლია ვთქვა, რომ რივალდო „მარაკანაზეც“ იმნაირი მღელვარებით გამოდის, როგორც საწვრთნელ მოედანზე. სახელ-დიდება ამ შემთხვევაში ვერაფერში მშველის.

სამწუხაროდ, ფრანგებთან ფინალი წავაგეთ. ახლა ამბობენ, რომ მაშინ ბრაზილიის ნაკრებზე რონალდოს უქეიფოდ ყოფნამ იქონია ზეგავლენა. მე კი ვთვლი, ფინალში ბრაზილია უბრალოდ, ცუდი თამაშის გამო დამარცხდა, ემე ჟაკეს ბიჭებთან იმ ჩემპიონატზე ყველაზე უსახურად ვიბურთავეთ... რონალდოს ავადმყოფობა არაფერ შუაში. ჩვენი თანაგუნდელი ხარივითაც რომ ყოფილიყო, ასეთი თამაშით მაინც დავმარცხდებოდით. იმ დღეს საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც. შეიძლება რომარიოს ტრავმა გავიხსენოთ, ან კიდევ ნაკრების ერთ-ერთი წევრის ფინალისშემდგომი საინტერესო განცხადება: „როცა ზაგალომ რომარიო რიო დე ჟანეიროში გააგზავნა, გავიფიქრე, რომ ღმერთს არ უნდოდა ბრაზილია ამ ჩემპიონატზე ოქრომედალოსანი გამხდარიყო“. ბრაზილიელებს რაღაცით წაგების ახსნა სურდათ და რონალდოს ავად ყოფნაც ამიტომ აიფარეს — აქაოდა, რონი მოიწამლა და ფინალში მთელი ძალით ვერ ითამაშო. რასაკვირველია, ნაკრების ყველა წევრს გვაწუხებდა ფრანგებთან მატჩის წინ რონალდოს ჯანმრთელობის ამბავი, მაგრამ, როცა იგი ძირითად შემადგენლობაში ვიხილეთ, გულზე მოგვეშვა — ყველამ იფიქრა, რომ მას არანაირი პრობლემა აღარ აწუხებდა.

ეს მერე იყო, თორემ რონალდო რომ თამაშამდე სასტუმროს ნომერში გენახათ, გული გაგისკდებოდათ. ბიჭი დივანზე იწვა და საშინლად აძაგძაგებდა, კონვულსიები სტანჯავდა. ოთახში ფეხბურთელები შემოცვივდნენ, ზოგი ტიროდა, იფიქრეს რონალდო კვდებაო. ექიმები, გუნდის უფროსობა, ნაკრების ფეხბურთელები, — მთელი ეს კოქტეილი თავში ამერია და საწყალი რონის ნომრიდან 5 წუთის შემდეგ გავვარდი — ამის ატანა აღარ შემეძლო.

რონის ამბავზე უამრავი ვერსია არსებობს. სტადიონისკენ მიმავალ ავტობუსში მარიო ზაგალომ გვითხრა, რონალდო ძირითადში არ იქნებაო. მის ნაცვლად მოედანზე ედმუნდო უნდა გამოეშვათ. „შენ არ ინერვიულო, მუნდიალებზე ასეთი ამბები მომხდარა, მოედანზე დებიუტანტები შემოსულან და სასწაულები მოუხდენიათ“ — ეუბნებოდა ზაგალო ედმუნდოს. ისიც უსმენდა და თავს უქნევდა, ყველაფერი გავიგეო.

მივედით სტადიონზე. ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა. გაზონზე გავედით, რათა მისი მდგომარეობა გვენახა, ერთმანეთს ორი სიტყვა ვუთხარით და გამოსაცვლელად გასახდელს მივაშურეთ. თამაშის დაწყებამდე დაახლოებით 10 წუთით ადრე გასახდელში რონალდოც გამოჩნდა. პირველად იგი მე შევნიშნე, რონი 9 ნომრით თამაშობდა და გასახდელში მისი კარადა 10 ნომრის გვერდით იდგა. უმალ თავს დაგვადგა ნაკრების ექიმიც, რომელმაც რონალდოს განუცხადა, მწვრთნელი გიბარებსო. მეზობელ ოთახში ზაგალოსთან საუბრის შემდეგ რონალდომ ფორმა ჩაიცვა.

მარიო ზაგალომ ედმუნდოს უთხრა, ძირითადში არ ითამაშებო. ძალიან ძნელი იყო ედმუნდოს იმედგაცრუება არ შეგვემჩნიათ — მუნდიალის ფინალში სასტარტო თერთმეტში მოხვედრის შანსი ჯერ მისცეს, მერე კი წაართვეს... რვა საათამდე ედმუნდოს სახელი ძირითად შემადგენლობაში ეწერა. ხოლო ცხრის თვრამეტ წუთზე იქ უკვე რონალდო გახლდათ აღნიშნული.

იმედგაცრუებათა იმ საღამომ დატოვა შთაბეჭდილება, რომ ბრაზილიამ მოედნის ცენტრში უსუსური თამაშით თავად აჩუქა ფრანგებს სანატრელი გამარჯვება. ფინალის შემდეგ კი ჩვეულებრივად — ფრანგები ოქროს თასს ზეიმობდნენ, ბრაზილია კი წაგების მიზეზებს ეძებდა. მე ჩემსას ვფიქრობდი — საეჭვოა რივალდოს გაჩემპიონების შანსი კიდევ მიეცეს, ნაკრებში ადგილს ახალი თაობის ფეხბურთელები წამართმევენ... ერთადერთი, რითაც თავის დამშვიდება შემეძლო, გამოცდილება გახლდათ, ვვარაუდობთ, ზაგალო ეროვნული გუნდიდან ასე ადვილად არ გამაგდებს-მეთქი. შეიძლება სხვა ფეხბურთელებსაც ასე მიაჩნდათ, თუმცა ჟაკეს გუნდთან წაგებას პირდაპირ მოედანზე ცხარე ცრემლით დასტიროდნენ. მე არ ვტიროდი, ჩვენს სათადარიგოებთან მივედი და იქ გაოგნებული კარგა ხანს ვიჯექი. ემოციებისგან სრულად ვიყავი დაცლილი...

მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. ფინალამდე მტკიცედ მჯეროდა, რომ ფრანგებს ბეჭებზე გავაკრავდით და თასიც ბრაზილიას დარჩებოდა. დარწმუნებული ვიყავით, მეტოქე ჩვენზე სუსტი იყო. ფინალამდე ფრანგებმა ძლივს მიაღწიეს. ვიფიქრე, მათ სუსტ წერტილებს ილბლიანად გამოვიყენებთ-მეთქი და... დავმარცხდით.

გავიდა ცოტა ხანი და 1999 წელს ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკა მოვიგე. სამშობლოში ზოგმა გამაკრიტიკა, ზოგმა ძალიან შემაქო. ახლა, შეფასებაში სხვაობა, ჩემში უკვე ძველებურად მტკივნეულ რეაქციას აღარ იწვევდა. შედარებით „ბებერი“ ვიყავი და მივხვდი, გულშემატკივართა აბსოლუტურ აღფრთოვანებას უკვე ველარ გამოვიწვევდი. ოღონდ ხანში შესვლით ძალები სულაც არ დამიკარგავს, პირიქით, ბრძოლას მოწყურებული გახლდით და მეტოქეებისთვის ადრინდელზე ბევრად უფრო მეტად საშიში ვიყავი...

### მსოფლიოს საუკეთესო

ფეხბურთისადმი ჩემი თვითშეწირვა ბედმა 1999 წელს დააფასა. ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება, „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული „ოქროს ბურთი“ ესპანეთის ჩემპიონატში საუკეთესო სამხრეთამერიკელი ფეხბურთელის პრიზი — ესენი ყველა ერთად მივიღე...

ამბობენ, რომ ფეხბურთის ლეგენდები დიდსაფეხბურთო ჯილდოებს გულგრილად ეკიდებოდნენ — ვითომ მოედანზე გამოსვლის წინ მათთვის ახალი ბუცები მიეცათ... მე კი მოყვარულივით ვიყავი აღფრთოვანებული, ამდენი წვალება და უცებ მსოფლიო დაფასება...

**გაგრძელება იქნება**

# დამინახე, დომენეკ!
## ლე ტალეკი შავ კატებზე ჩაეჭიდა




**თითქმის** მთელი ზაფხულის მანძილზე ცდილობდა „სოშო“ „ლივერპულიდან“ ანტონი ლე ტალეკის გადაბირებას და აგვისტოს მიწურულსღა მოახერხა. ფრანგი ფორვარდი „ლივერპულმა“ „სოშოს“ ერთი წლით ათხოვა.

საფრანგეთის ნაკრების 21-წლამდელთა ფეხბურთელი თავს თუ გამოიჩენს, ეგებ მისი კონტრაქტი გამოისყიდონ კიდეც.

ანტონი ლე ტალეკი გასულ სეზონში „ლივერპულდან“ „სანდერლენდში“ იყო განათხოვრებული და „შავი კატები“ პრემიერლიგიდან გავარდნენ. ფრანგი თავდამსხმელი ინგლისურ კლუბში ჟერარ ულიეს მწვრთნელობისას გადავიდა, რაფაელ ბენიტესის მისვლის შემდეგ კი სათადარიგოთა სკამს გაუშინაურდა. 2004-2005 წლების სეზონის ნახევარი „სენტ-ეტიენში“ გაატარა, მოკლედ, ასე იხეტიალა გუნდიდან გუნდში და ბოლოს ისევ სამშობლოში დაბრუნდა.

ანტონი ლე ტალეკი იმედოვნებს, რომ რაიმონ დომენეკის ყურადღებას მიიპყრობს და ნაკრებში გამოიძახებენ: „სოშო“ იდეალური ადგილია, რომელმაც თავის გამოჩენის შანსი მომცა. ამ გუნდში გადმოსვლა ძალიან მინდოდა. ჩემი ასაკის კვალობაზე უკვე საკმაო გამოცდილება მივიღე, რაც მომავალში დამეხმარება. 21-წლამდელთა ნაკრებში რომ გამომიძახებენ, ვიცი, მაგრამ დიდ ნაკრებში თამაშიც მსურს. რაიმონ დომენეკი საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე ფრანგ ფეხბურთელებს სწყალობს“.

**ირაკლი ნინიძე**

# ჰესელინკი სელტიკს ჯიბეში უძვრება



**პსვ-ს** ფორვარდი იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი „სელტიკში“ გადასვლას აპირებს, მაგრამ გლაზგოურ გუნდს ჯამაგირზე ვერ ურიგდება. არადა, კლუბებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია.

27 წლის ფეხბურთელი ამ დღეებში შოტლანდიაში ჩავა სელტიკელებთან სალაპარაკოდ. ოფ ჰესელინკი აფრთხილებს გლაზგოურ კლუბს, რომ თუ მისი გადაბირება სურთ, არ უნდა იძუნწონ.

„ძალიან დიდი სხვაობაა ჩემ მიერ მოთხოვნილ ხელფასსა და იმ თანხას შორის, რაც „სელტიკმა“ შემომთავაზა — განაცხადა ოფ ჰესილინკმა ერთ-ერთ სქოთურ ტელევიზიასთან ინტერვიუში — პსვ-ში თავს კარგად ვგრძნობ და გაქცევას არ ვაპირებ, ამიტომ მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ უკეთეს ჯამაგირს გადამიხდიან. „სელტიკი“ ფანტასტიკური კლუბია, საუცხოო ქომაგებით და მდიდარი ისტორიით. შოტლანდიური ლიგა ინგლისური პრემიერლიგა არაა, მაგრამ თავისებური ხიბლი აქვს და იქ თამაშზე უარს არ ვიტყოდი.“

**ირაკლი ნინიძე**

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 3 | ასტონ ვილა-რედინგი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 22:45 | 4 | ბლექბერნი-ევერტონი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:45 | 5 | სიტი-პორტსმუთი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 23:00 | 6 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 6.00 | 3.80 | 1.50 | 2.32 | 1.20 | 1.07 |
| 23:00 | 7 | ფულემი-ბოლტონი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 23:00 | 8 | მიდლსბრო-ჩელსი | 8.50 | 3.80 | 1.40 | 2.62 | 1.20 | 1.02 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 137 | გრაცერი-ტიროლი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 21:45 | 150 | შო დე ფონი-ქსამაქსი | 3.70 | 3.30 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 160 | ვალენსია-ბეტისი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 151 | ბილბაო-სოსიედადი | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 21:00 | 153 | ესპანიოლი-ტარაგონა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 21:00 | 154 | დეპორტივო-სარაგოსა | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 21:00 | 155 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 21:00 | 156 | რეალი-ვილიარეალი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 21:00 | 157 | უელვა-მალიორკა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 21:00 | 158 | რასინგი-ატლეტიკო | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 21:00 | 159 | სევილია-ლევანტე | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 152 | სელტა-ბარსელონა | 4.70 | 3,40 | 1.70 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 259 | პანათინაიკოსი-იონიკოსი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 20:00 | 261 | პაოკ-ირაკლისი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 255 | არისი-კერკირა | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 20:00 | 256 | კალამარია-ეგალეო | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| 20:00 | 257 | ოლიმპია-ატრომიტოსი | 1.95 | 2.90 | 4.00 | 1.16 | 1.31 | 1.68 |
| 20:00 | 258 | ოფი-აეკ | 4.30 | 3.10 | 1.80 | 1.80 | 1.26 | 1.13 |
| 22:00 | 260 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 6.50 | 3.50 | 1.50 | 2.27 | 1.21 | 1.04 |
| 20:00 | 262 | ქსანთი-ერგოტელისი | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 323 | ლინი-ლილესტრიომი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 324 | ბრანი-მოლდე | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 20:00 | 325 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 20:00 | 326 | ლინი-სანდეფიორდი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 20:00 | 327 | ოდ გრენლანდი-ტრომსიო | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 20:00 | 328 | ვიკინგი-ვოლერენგა | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:00 | 329 | ლილესტრიომი-ჰამარი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 330 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 20:30 | 331 | ბრინი-ფოლო | 1.30 | 5.00 | 7.00 | 1.03 | 1.09 | 2.91 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 352 | იორებრო-დეგერფორსი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 353 | ქვიდინგი-მიალბი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 21:00 | 354 | ასირისკა-იონკოპინგი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 21:00 | 355 | ბრომაპოიკარნა-უმეა | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 21:00 | 356 | ლიუნგსკილე-ფალკენბერგი | 2.00 | 3.30 | 3.35 | 1.24 | 1.25 | 1.66 |
| 21:00 | 357 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2.00 | 3.30 | 3.25 | 1.24 | 1.23 | 1.63 |
| 21:00 | 358 | ტრელებორგი-ლანდსკრონა | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 368 | ჰონკა-კუოპიო | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 19:30 | 369 | კტპ-ინტერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 14:00 | 376 | ტოკიო-ფუკუოკა | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 14:00 | 377 | გამბა-ჰიროსიმა | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 14:00 | 378 | ივატა-იჩიჰარა | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 14:00 | 379 | კავასაკი-ნაგოია | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 14:00 | 380 | კოფუ-კაშიმა | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 14:00 | 381 | კიოტო-ჩერეძო | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 14:00 | 382 | ოიტა-შიმიცუ | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 14:00 | 383 | ურავა-ნიიგატა | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 14:00 | 384 | იოკოჰამა-ომია | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 420 | ატლეტიკო პრ-პონტე პრეტა | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 421 | გოიასი-ინტერნასიონალი | 2.25 | 3.30 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 23:45 | 422 | პალმეირასი-ფლუმინენსე | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 423 | ბოტაფოგო-კრუზეირო | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 23:45 | 424 | ჟუვენტუდი-კორინთიანსი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:45 | 425 | სანტა კრუზი-სანტოსი | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| 23:45 | 426 | სან კაეტანო-ფლამენგო | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 427 | გრემიო-ფორტალესა | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 23:45 | 428 | სან პაულუ-პარანა | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 429 | ვასკუ და გამა-ფიგეირენსე | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 21:30 | 454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 2.60 | 3.10 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.39 |
| 21:30 | 455 | სტიაუა-სტანდარდი | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 22:00 | 456 | ფენერბაჰჩე-დინამო კ | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 22:00 | 457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 4.70 | 3.30 | 1.70 | 1.93 | 1.24 | 1.12 |
| 22:15 | 458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| 22:30 | 459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 22:30 | 460 | ლეგია-შახტარი | 2.65 | 3.00 | 2.55 | 1.40 | 1.29 | 1.37 |
| 22:45 | 461 | აეკ-პართსი | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| 23:00 | 462 | კიევო-ლევსკი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 23:05 | 463 | არსენალი-დინამო ზ | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 465 | ბეიტარი-დინამო(ბქ) | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| 19:00 | 466 | ეთნიკოსი-რუზელარე | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 19:30 | 467 | პლოცკი-ჩერნომორეცი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 20:00 | 468 | დინამო(მნ)-პეტრჟალკა | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 20:00 | 469 | კაუნასი-რანდერსი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 20:00 | 470 | კაისერი-ტირანა | 1.15 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.66 |
| 20:00 | 471 | სკონტო-მოლდე | 2.25 | 3.00 | 2.80 | 1.28 | 1.24 | 1.44 |
| 20:30 | 472 | ბატე-რუბინი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 20:30 | 473 | დომჟალე-ჰაპოელი(თ.ა) | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:30 | 474 | რაპიდი(ბ)-სარაევო | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 21:00 | 475 | მეტალურგი(ზ)-ზიმბრუ | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 21:30 | 476 | ატვიდაბერგი-ბრანი | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 21:30 | 477 | გრასჰოპერი-ვიდეოტონი | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 21:30 | 478 | ლოკომოტივი ბ-ბნეი იეჰუდა | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| 21:30 | 479 | ვადუცი-ბაზელი | 4.30 | 3.30 | 1.70 | 1.86 | 1.21 | 1.12 |
| 21:45 | 480 | ტრაბზონი-აპოელი ნ | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 22:00 | 481 | ოსერი-ოფკ ბეოგრადი | 1.20 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.36 |
| 22:00 | 482 | ლევადია-ტვენტე | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 22:00 | 483 | სიონი-რიდი | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 484 | ბრიუგე-სუდუვა | 1.05 | 6.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 4.77 |
| 22:30 | 485 | დერი-გრეტნა | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 22:30 | 486 | ჰაიდუკი კ-ცსკა(ბულ) | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 22:30 | 487 | ვისლა-მატერსბურგი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 22:45 | 488 | ბრიონდბიუ-ფლორა | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 22:45 | 489 | დროგედა-სტარტი | 3.10 | 3.10 | 2.05 | 1.54 | 1.23 | 1.23 |
| 21:45 | 490 | ლიტექსი-ომონია | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 491 | ლანელი-ოდენსე | 4.70 | 3.30 | 1.60 | 1.93 | 1.19 | 1.07 |
| 22:45 | 492 | მარსელი-იანგ ბოიზი | 1.40 | 3.60 | 7.50 | 1.00 | 1.17 | 2.43 |
| 22:45 | 493 | ნიუკასლი-ვენტსპილსი | 1.12 | 6.20 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.19 |
| 22:45 | 494 | სლავია-კარვანი | 1.11 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.01 | 4.21 |
| 23:00 | 495 | მარიბორი-პარტიზანი | 3.05 | 3.10 | 2.15 | 1.53 | 1.26 | 1.26 |
| | | **სამხ.ამერიკ.თასი** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 564 | ესპანიოლი-ნასიონალი | 5.00 | 3.70 | 1.50 | 2.12 | 1.15 | 1.06 |
| 23:45 | 565 | ლიბერტადი-სერო | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 566 | უნივერსიტარიო-ბოლივარი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 23:45 | 567 | უაჩიპატო-კოლო კოლო | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 568 | ინტერი-რომა | 1.80 | 3.10 | 4.40 | 1.13 | 1.27 | 1.81 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 501 | ბრაიტონი-ბოსტონი | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 22:30 | 508 | ჩესტერფილდი-ვულვერჰემპტონი | 3.20 | 3.40 | 1.90 | 1.64 | 1.19 | 1.21 |
| 22:45 | 521 | პორტ ვეილი-პრესტონი | 2.85 | 3.30 | 2.15 | 1.52 | 1.22 | 1.30 |
| 22:45 | 525 | უენსდი-რექსემი | 1.50 | 3.40 | 5.70 | 1.04 | 1.18 | 2.12 |
| 22:45 | 526 | საუთჰემპტონი-იოვილი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 22:45 | 531 | ტორკი-ნორთვიჩი | 4.30 | 3.50 | 1.65 | 1.92 | 1.19 | 1.12 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 532 | ლეიტონი-ვესტ ბრომვიჩი | 4.20 | 3.40 | 1.65 | 1.87 | 1.18 | 1.11 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 539 | ინვერნესი-დამბარტონი | 1.20 | 5.70 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.48 |
| | | **უეფა სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 551 | ბარსელონა-სევილია | 1.80 | 3.10 | 4.40 | 1.13 | 1.27 | 1.81 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ასტონ ვილა-რედინგი | 2.25 | 2.00 | 4.50 | 1.05 | 1.50 | 1.38 |
| 10004 | ბლექბერნი-ევერტონი | 2.65 | 2.00 | 3.45 | 1.13 | 1.49 | 1.26 |
| 10005 | სიტი-პორტსმუთი | 2.50 | 2.00 | 3.65 | 1.11 | 1.48 | 1.29 |
| 10006 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 5.50 | 2.30 | 1.85 | 1.62 | 1.38 | 1.02 |
| 10007 | ფულემი-ბოლტონი | 2.90 | 2.00 | 3.05 | 1.18 | 1.48 | 1.20 |
| 10008 | მიდლსბრო-ჩელსი | 6.00 | 2.30 | 1.70 | 1.66 | 1.32 | 1.00 |
| 10453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 1.85 | 2.10 | 6.80 | 1.00 | 1.45 | 1.60 |
| 10454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 3.00 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.47 | 1.18 |
| 10455 | სტიაუა-სტანდარდი | 2.05 | 2.00 | 5.50 | 1.01 | 1.49 | 1.46 |
| 10456 | ფენერბაჩე-დინამო კ | 2.25 | 2.00 | 4.60 | 1.05 | 1.51 | 1.39 |
| 10457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 4.50 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.45 | 1.03 |
| 10458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |
| 10459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 1.70 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.36 | 1.73 |
| 10461 | აეკ-ჰართსი | 1.90 | 2.20 | 6.00 | 1.01 | 1.44 | 1.60 |
| 10462 | კიევო-ლევსკი | 1.95 | 2.10 | 5.50 | 1.01 | 1.43 | 1.51 |
| 10463 | არსენალი-დინამო ზ | 1.35 | 3.30 | 12.00 | 1.00 | 1.21 | 2.58 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ასტონ ვილა-რედინგი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11004 | ბლექბერნი-ევერტონი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11005 | სიტი-პორტსმუთი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11006 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 20.00 | 12.00 | 2.00 |
| 11007 | ფულემი-ბოლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11008 | მიდლსბრო-ჩელსი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.80 |
| 11453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 |
| 11454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11455 | სტიაუა-სტანდარდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11456 | ფენერბაჩე-დინამო კ | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 5.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11460 | ლევია-შახტარი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11461 | აეკ-ჰართსი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11462 | კიევო-ლევსკი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12003 | ასტონ ვილა-რედინგი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | სიტი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.90 | 1.70 |
| 12007 | ფულემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | მიდლსბრო-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 1.70 | 1.90 |
| 12454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 1.90 | 1.70 |
| 12455 | სტიაუა-სტანდარდი | 1.90 | 1.70 |
| 12456 | ფენერბაჩე-დინამო კ | 1.90 | 1.70 |
| 12457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 12458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 1.70 | 1.90 |
| 12459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 2.00 | 1.60 |
| 12460 | ლევია-შახტარი | 1.60 | 2.00 |
| 12461 | აეკ-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 12462 | კიევო-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 12463 | არსენალი-დინამო ზ | 2.00 | 1.55 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ასტონ ვილა-რედინგი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | სიტი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ფულემი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | მიდლსბრო-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 1.70 | 1.90 |
| 13454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 1.70 | 1.90 |
| 13455 | სტიაუა-სტანდარდი | 1.70 | 1.90 |
| 13456 | ფენერბაჩე-დინამო კ | 1.70 | 1.90 |
| 13457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 13458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 1.70 | 1.90 |
| 13459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 1.90 | 1.70 |
| 13460 | ლევია-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13461 | აეკ-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 13462 | კიევო-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 13463 | არსენალი-დინამო ზ | 2.00 | 1.60 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ასტონ ვილა-რედინგი | 1.60 | 2.30 |
| 14004 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.80 | 2.00 |
| 14005 | სიტი-პორტსმუთი | 1.70 | 2.10 |
| 14006 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 2.50 | 1.30 |
| 14007 | ფულემი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14008 | მიდლსბრო-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 1.30 | 2.50 |
| 14454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 1.90 | 1.80 |
| 14455 | სტიაუა-სტანდარდი | 1.35 | 2.50 |
| 14456 | ფენერბაჩე-დინამო კ | 1.60 | 2.30 |
| 14457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 2.40 | 1.45 |
| 14458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 2.10 | 1.70 |
| 14459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 1.20 | 2.60 |
| 14460 | ლევია-შახტარი | 1.80 | 1.80 |
| 14461 | აეკ-ჰართსი | 1.30 | 2.50 |
| 14462 | კიევო-ლევსკი | 1.32 | 2.45 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ასტონ ვილა-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ბლექბერნი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | სიტი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ფულემი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | მიდლსბრო-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15455 | სტიაუა-სტანდარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15456 | ფენერბაჩე-დინამო კ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15460 | ლევია-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15461 | აეკ-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15462 | კიევო-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15463 | არსენალი-დინამო ზ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | ასტონ ვილა-რედინგი | 1.35 | 2.60 |
| 16004 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.50 | 2.20 |
| 16005 | სიტი-პორტსმუთი | 1.48 | 2.25 |
| 16006 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 3.50 | 1.20 |
| 16007 | ფულემი-ბოლტონი | 1.60 | 1.90 |
| 16008 | მიდლსბრო-ჩელსი | 4.00 | 1.15 |
| 16453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 1.15 | 3.80 |
| 16454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 1.80 | 1.60 |
| 16455 | სტიაუა-სტანდარდი | 1.23 | 3.20 |
| 16456 | ფენერბაჩე-დინამო კ | 1.30 | 2.80 |
| 16457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 3.00 | 1.25 |
| 16458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 2.10 | 1.50 |
| 16459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 1.12 | 4.00 |
| 16460 | ლევია-შახტარი | 1.60 | 1.80 |
| 16461 | აეკ-ჰართსი | 1.12 | 3.50 |
| 16462 | კიევო-ლევსკი | 1.15 | 3.20 |
| 16463 | არსენალი-დინამო ზ | 1.01 | 6.00 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | ასტონ ვილა-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ბლექბერნი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | სიტი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ფულემი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | მიდლსბრო-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17453 | სპარტაკი-ლიბერეცი | 1.85 | 1.95 |
| 17454 | ბოლესლავი-გალათასარაი | 1.85 | 1.95 |
| 17455 | სტიაუა-სტანდარდი | 1.85 | 1.95 |
| 17456 | ფენერბაჩე-დინამო კ | 1.85 | 1.95 |
| 17457 | რაბოტნიჩკი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17458 | რუჟომბეროკი-ცსკა(მ) | 1.85 | 1.95 |
| 17459 | აიაქსი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17460 | ლევია-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17461 | აეკ-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17462 | კიევო-ლევსკი | 1.85 | 1.95 |
| 17463 | არსენალი-დინამო ზ | 1.85 | 1.95 |




AFP

ნიკოს ზისისმა ენდრიუ ბოგუტის ავსტრალია გააშავა

# ზისისის ზევსური

C ჯგუფი

22 აგვისტო

**საბერძნეთი 72:69 ავსტრალია**

**საბერძნეთი:** დიამანტიდისი (20), პაპადოპულოსი (12), პაპალუკასი (11), სპანოულისი (10)

**ავსტრალია:** ბოგუტი (18), ბარლოუ (11), ბრატონი (11)

**თურქეთი 73:71 ბრაზილია**

**თურქეთი:** ერდოგანი (19), კუტლუაი (14), გიონლუმი (10)

**ბრაზილია:** ბარბოსა (26), სპლიტერ ბეიმსი (13), მაგალიანეში (13)

**ლიტვა 106:65 ყატარი**

**ლიტვა:** კ. ლავრინოვიჩი (20), კლეიზა (14), მაჩიაუსკასი (13), დ. ლავრინოვიჩი (12), კალნიეტისი (10)

**ყატარი:** ს. ალი (20), ა. ალი (11)

**ბედი** ძლიერებს სწყალობთო და ალბათ ამიტომაც დაამარცხა ევროჩემპიონმა საბერძნეთმა კონტინენტ-კუნძულ-სახელმწიფო ავსტრალია.

ბერძნები სირენამდე 19 წამით ადრე 2 ქულით აგებდნენ, საჯარიმოს ხაზზე კი ავსტრალიელი სი ჯეი ბრუტონი იდგა. ჩააგდე ორივე სროლა და მოუთავე საქმე ამ ბერძნებს — ამას გაიფიქრებდა ალბათ ათასობით ავსტრალიელი, მაგრამ ბრუტონმა მხოლოდ ერთი ქულა მოინაგრა და ბერძენმა ანტონის ფოცისმა უმნიშვნელოვანესი სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა — 69:69.

ავსტრალიელებს შესატევად საკმარისი დრო რჩებოდათ, თუმცა მოვლენები მათდა სავალალოდ განვითარდა. ჯერ იყო და პირტიტველა დევიდ ბერლოუმ შეტევაში ბურთი დაკარგა, რომელიც ბერძნებმა ელვისებურად გადააწოდეს ნიკოს ზისისს და... ამანაც სამიანი არ ჩააჭედა?!

არადა, 3 წამი მარაგში ჰქონდა ზისისს და შეეძლო, არ გაერისკა, მაგრამ მან მაინც გაისროლა სამქულიანი და ბერძნებს მესამე გამარჯვება მოუტანა იაპონიაში.

თუ ელინებმა გამარჯვებით გაინებივრეს თავი, მათზე არანაკლები ამბიციის ლიტველნი ამ ტურამდე დამშეულები იყვნენ. სხვებისგან დაჩაგრულმა ბალტიელებმა ჯავრი ყატარელებზე იყარეს, რომლებსაც ისე უმოწყალოდ გაუსწორდნენ, რომ ამ ჩემპიონატისთვის სარეკორდო სხვაობით იმარჯვეს.

ვისაც არ დაეზარა, ყველამ ამოავსო არაბთა კალათი. ლიტველებმა გამარჯვებულის ვინაობა პირველივე მეოთხედის ბოლოს გაარკვიეს, როცა 31:11 დაწინაურდნენ.
C ჯგუფის მესამე მატჩში გვარიანი ბრძოლა გაჩაღდა. ბრაზილიელები მთელი თამაში უძალიანდებოდნენ თურქებს. ერთი პირობა თითქოს კედელთანაც მიაყენეს, მაგრამ ბოსფორელებმა მაინც მოახერხეს თამაშის სათავისოდ შემოტრიალება და 2-ქულიანი გამარჯვებით ბერძნებთან ერთად ჯგუფის ლიდერობა შეინარჩუნეს.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 0 | +28 | 6 |
| თურქეთი | 3 | 0 | +12 | 6 |
| ლიტვა | 1 | 2 | +34 | 4 |
| ბრაზილია | 1 | 2 | +23 | 4 |
| ავსტრალია | 1 | 2 | -5 | 4 |
| ყატარი | 0 | 3 | -92 | 3 |

# იაოს გარეშე ჩინეთი მინია

D ჯგუფი

22 აგვისტო

**იტალია 64:56 სენეგალი**

**იტალია:** სორაგნა (15), მორდენტე (14)

**სენეგალი:** ნდოიე (18), საგანე (12), პენე (10)

**პუერტორიკო 90:87 ჩინეთი**

*ოვერტაიმში*

**პუერტო რიკო:** აიუსო (27), აროიო (25 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), სანტიაგო (14), ლეტიმერი (13)

**ჩინეთი:** მინი (29ქულა, 8 მოხსნა), ჟუ (18), ვანგი (13)

**აშშ 114:95 სლოვენია**

**აშშ:** ვეიდი (20), ჯეიმსი (19), ბრენდი (16), ენტონი (14)

**სლოვენია:** ბეჩიროვიჩი (18), ნახბარი (15), ბრეზეკი (15), ნესტეროვიჩი (14), ლაკოვიჩი (14)

**რაოდენ** დიდია ამერიკისა და აზიის კონტინენტებს შორის საკალათბურთო დონის განსხვავება, აგერ, პუერტო რიკო — ჩინეთის მატჩმაც გამოაჩინა. მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა თავისი კონტინენტის ჩემპიონია, პუერტო რიკო კი პანამერიკული პირველობის პლეი ოფშიც ვერ გავიდა და წესით, მუნდიალზე არ უნდა ეთამაშა, მაგრამ მსოფლიო კალათბურთის მამებმა პუერტორიკოელებს „ვაილდ ქარდი“ უბოძეს. ჰოდა, შეეყარა აზიის საუკეთესო ამერიკის მერამდენილაცა ადგილზე გასულს და საინტერესო ბრძოლა კი გაჩაღდა, მაგრამ გამარჯვებულები კუნძულელები გამოვიდნენ.

ჯგუფში მანამდე ორჯერ დამარცხებულმა ჩინეთმა პუერტო რიკოსთან მატჩის წინ წარმატების სუნი იყნოსა და ალბათ იფიქრა, ეგაა და, გავიხარებო. აზიელთათვის მართლაც ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ მათ წონოლა ლიდერს იაო მინს მოედნიდან არ გაისტუმრებდნენ ათას ბურთზე გადამხტარი გამოცდილი პუერტორიკოელები.

მთელი თამაშის განმავლობაში ჩინეთი იგებდა, აზიელთა უპირატესობამ რამდენჯერმე ათ ქულასაც გადაბიჯა, მაგრამ პუერტო რიკო მინზე იყო ჩასაფრებული და 226-სანტიმეტრიან გოლიათს მიწას საჯარიმოებით უთხრიდა.

ერთი, ორი, სამი... ჩინელ ახმახს რაგინდარა საშუალებებით ჰკიდებდნენ კუნძულელები ჯარიმებს და როცა მინს სირენამდე 4,40 წუთით ადრე წითელი აენთო, პუერტორიკოელების ჯერიც დადგა.

იაოს გავარდნისას ჩინელებს მარაგში ოდენ 2-ქულიანი ლიდერობა უჭყაოდათ და პუერტორიკოელმა ლარი ლიუსომ რომ მისცხო, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე თავისიანები დააწინაურა კიდეც.

მინის გავარდნა დამღუპველი აღმოჩნდა ჩინელებისთვის. აზიელთა ლიტველი თავმა იონას კაზლაუსკასამ, აი, რას თქვა ნამატჩევს: „მინდა, რაც შეიძლება, მალე ვნახო ამ მატჩის ჩანაწერი, რათა მსაჯების მიკერძოებაში დავრწმუნდე. იაო მინი არაერთხელ დააჯარიმეს უსამართლოდ და ასე რომ არ გაეკეთებინათ, სავარაუდოდ, გავიმარჯვებდით კიდეც“.

კაზლაუსკასი მისტიროდა იმ ორ მოხსნას, რომელიც ძირითადი დროის ბოლო წამებზე ჩინელებს ცხვირიდან აცილეს პუერტორიკოელებმა. ანტონიო ლატიმერმა სირენამდე 23 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა და თან ჩინელები მასზე დაჯარიმდნენ. ლატიმერმა საჯარიმო გააცუდა და ბურთიც პუერტორიკოელმა რიკ აპოდაკამ მოხსნა. დასრულებამდე 2 წამით ადრე კარლოს აროიომ გამარჯვების სროლა გააცუდა, მაგრამ პუერტო რიკო გვარიანი უპირატესობით შეხვდა დამატებით დროს და უიამონოდ დარჩენილ ჩინეთს ოვერტაიმში იოლად მოუთავა ხელი.

ჩინელთა სიმღერა თითქმის უკვე ნამღერია. მათ ახლა დარჩენილ ორივე მატჩში უნდა დაამარცხონ სლოვენია და სენეგალი, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნონ. პუერტორიკოელებმა კი თითქმის გაინაღდეს პლეი ოფი, რადგან სენეგალმა გუშინ იტალიასთან წააგო და დარჩენილი ორი თამაშის მომგები რომ არაა, მთელმა თუ არა, ნახევარმა აფროსამყარომ იცის.

სენეგალმა წააგოო, ვთქვით, მაგრამ ცოტაც რომ გაეჭირვებინა, ვინძლო, ხმაურიანი სენსაცია გამოეცხო. იტალიელები აცაბაცად ესროდნენ კალათში ბურთს და პირველი ტაიმის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 34:45 ჩამორჩნენ.

იტალიელები ვერც მესამე მეოთხედში მოვიდნენ იშტაზე, სენეგალელთა ლიდერი მალი ნდოი არაფრად აგდებდა აპენინელ კალათბურთელების მაღალ ავტორიტეტს და აძურელებიც კარგა ხანს მდევრის როლში იყვნენ.

გადამწყვეტი მეოთხედი აფრომენთა 3-ქულიანი ლიდერობით დაიწყო და აი, აქ კი იკადრეს იტალიელებმა ათამაშება. სტეფანო მანცინელის სამქულიანისა და ანდრეა მიჩელორის მიჯრით ჩაყრილი ბურთების შემდეგ „სკუადრა აძურა“ პირველად დაწინაურდა — 52:51. ეს მოხდა სირენამდე ოთხწუთნახევრით ადრე და დარჩენილ დროში სენეგალელები სტატისტის როლშიღა თუ იყვნენ.

„ეს ძალიან გულდასაწყვეტია — ჯავრობდა თამაშის შემდეგ აფრიკელთა დამრიგებელი გაი მუსტაფა — ისევ, როგორც პუერტო რიკოსთან, ამ მატჩშიც მთელი თამაში ვლიდერობით და ბოლო წუთებზე დაშვებული შეცდომები ძალიან ძვირად დაგვიჯდა“.

ჯგუფის ბოლო წყვილში გამარჯვებული თითქმის წინდაწინ იყო ცნობილი. მართალია, სლოვენიელები 4 ნბა-ელით იწონებენ თავს, მაგრამ 12 განრისხებული ამერიკელის წინააღმდეგ რა უნდა გაეწყოთ. მხოლოდ პირველი მეოთხედის 3 ქულით წაგება თუ ჩაეთვლებათ წარმატებად სლავებს, თორემ მერე რომ ჩამორჩნენ, წარმატების იმედი მთლიანად გადაეწურათ.

ამერიკელთა დამრიგებელს ალბათ გულში ამოუჭრია, ყველა შეგირდს უნდა მივცე შანსიო და მოედანზე თითქმის თორმეტივე კალათბურთელი თანაბარი დროით გაიყვანა. ერთი ბრედ მილერმა ითამაშა 8 წუთი, თორემ დანარჩენებმა სათამაშო დრო, რომ იტყვიან, ძმურად გაინაწილეს.

დუეინ ვეიდმა იმაზე მეტი ქულა გააკეთა, რამდენი წუთიც ითამაშა და ასევე მოიქცა ელტონ ბრენდი. არც სხვა დრიმთიმელებმა დააკლეს ხელი სლოვენიელებს და საბოლოოდ იოლი გამარჯვებაც მიითვალეს.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 0 | +61 | 6 |
| იტალია | 3 | 0 | +27 | 6 |
| პუერტორიკო | 2 | 1 | +1 | 5 |
| სლოვენია | 1 | 2 | -6 | 4 |
| სენეგალი | 0 | 3 | -34 | 3 |
| ჩინეთი | 0 | 3 | -49 | 3 |




AFP

იაო მინი ამაოდ დაშვრა




www.sportphoto.ge-ს ფოტოები

# დიდების დარბაზი დიდთა ხვედრია

## ხაბელოვი თედიაშვილს გვერდში ამოუდგა

**ჩინეთის** ქალაქ გუანჯუოუში სექტემბრის ბოლოს გასამართ მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ სახეობის დიდების დარბაზის წევრი, სხვებთან ერთად, გახდება ჩვენი ლერი ხაბელოვიც. ამის თაობაზე გადაწყვეტილება ლოზანაში ფილა-ს ბიუროს დღეს და ხვალ გასამართ სხდომაზე ოფიციალურად გაფორმდება.

მოჭიდავეთა დიდების დარბაზის შექმნის იდეა ამერიკელებმა წამოაყენეს, მისი პირველი წევრები კი სამიდან ორი ყოფილი საბჭოელი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბელარუსში მცხოვრები ალექსანდრ მედვედი და რუსეთის მოქალაქე ალექსანდრ კარელინი იყვნენ. ისინი დიდების დარბაზში 2003 წელს ნიუ იორკში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიღეს. სულ მალე მათ დაემატა ორგზის ოლიმპიური და მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონი ლევან თედიაშვილი და კიდევ რამდენიმე მოჭიდავე. და აი, მალე თედიაშვილს კილევ ერთი ჩვენებური, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ლერი ხაბელოვი დაუმშვენებს.

მართალია, მოჭიდავეთა დიდების დარბაზი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ფილას ფრთებქვეშ მოექცა, ჯერჯერობით ვირტუალურია, მაგრამ მალე გაიხსნება ექსპოზიცია. ეს მოხდება ლოზანაში, როცა ფილა უძველეს ციხე-სიმაგრე კორზიიეს ჭერქვეშ დაიდებს ბინას.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# 114-დღიანი დოპინგ-დღიური

## ფუენტესის საქმეს კუდები არ ელევა

**დანიურმა** გაზეთმა **Politiken** ინდივიდუალურ რბოლაში ოლიმპიურ ჩემპიონის, ამერიკელი ტაილერ ჰემილტონის ეგრეთწოდებული დოპნიგ-დღიური გამოაქვეყნა. ამ პუბლიკაციის თანახმად, სპორტსმენი 2003 წელს 114 დღის განმავლობაში იღებდა დოპინგს — ზრდის ჰორმონებსა და ინსულინს. გაზეთი ამ ამბის წყაროდ ასახელებს იმ დოკუმენტებს, რომლებიც, სავალალოდ ცნობილი ესპანელი ექიმის ფუენტესის ქაღალდებში აღმოჩნდა.

ჰემილტონი 2003 წელს „ტურ დე ფრანსის" რბოლაში დანიური გუნდის (ISC) შემადგენლობაში გამოდიოდა და საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზე გავიდა. გუნდის ბოსი — 1996 წლის „ტურის" გამარჯვებული ბიარნე რიისი ამბობს, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა იმის თაობაზე, ექიმები როგორ „ზრუნავდნენ" მის მრბოლზე.

„მინდა შეგახსენოთ, რომ რბოლის დღეებში გუნდის წევრები სასტუმროებში ცხოვრობენ და არა მკაცრი რეჟიმის ციხეში. ასე რომ, რბოლების მერე სპორტსმენები სასტუმროს ნომრებში მიდიოდნენ, იქ კი შეეძლოთ, ის ექეთებინათ, რაც მოესურვებოდათ" — ასე ახსნა საქმის ვითარება რიისმა.




# სპორტის ენციკლოპედია

## მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844




# მწვრთნელი, დარბაზი, ფული

## ქართულ ხელბურთს ხელის ჭუჭყი სჭირდება

**ოთხი წლის** შემდეგ საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრები ევროსარბიელს უბრუნდება. გასულ შაბათს ავსტრიაში გამართულმა წილისყრამ გაარკვია კონტინენტის მერვე ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ქართველთა მეტოქეები — რუმინეთის, ლატვიისა და ბულგარეთის ნაკრებები. ორწრიანი საკვალიფიკაციო ტურნირი მომავალი წლის იანვარში გაიმართება, რის შემდეგადაც ორი საუკეთესო გუნდი პლეი ოფში გააგრძელებს ბრძოლას 2008 წელს ნორვეგიაში 16 რჩეულ ნაკრებთა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად.

ჩვენი ბიჭები შესარჩევ ციკლს სამ ან ოთხ იანვარს ლატვიაში მატჩით დაიწყებენ, სამი დღის შემდეგ მეტოქეს თბილისში დაუხვდებიან, კიდევ სამი დღის მერე ჯგუფის ფავორიტ რუმინეთს უმასპინძლებენ. მერე ისევ გასვლითი მატჩი და ბოლოს ორი შეხვედრა ჯგუფის აუტსაიდერად შერაცხულ ბულგარელებთან.

კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ქართველთათვის მისია-ამოცანა, ანუ კვარტეტში პირველ-მეორე ადგილზე გასვლა რეალური ვარიანტია, ოღონდ საამისოდ სამი უმთავრესი საკითხია დროულად თავმოსაბმელი: ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნა, სათამაშოდ ჩვენი ერთადერთი ნორმალური სარბიელის — თბილისის სპორტის სასახლის გათბობა შუა ზამთარში, აგრეთვე სტუმართა სამი გუნდისა და დელეგატ-მსაჯთა დახვედრის, ქართველ ლეგიონერთა ჩამოყვანის, თუნდაც ერთი შეკრება-შეჯიბრისა და ჩვენი ეროვნული გუნდის სამ ქვეყანაში სამგზავრო თანხის შოვნა.

გუშინ სწორედ ამ პრობლემებზე სამსჯელოდ შეიკრიბნენ საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელები პრეზიდენტ მამუკა სხიერელის მეთაურობით.

თავიდან მივყვეთ. სადღეისოდ ეროვნული ნაკრების მთავარმწვრთნელობის მხოლოდ ორი რეალური კანდიდატია — ჩვენთვის ბოლო ევროპირველობაზე გუნდის მესაჭე ზაზა დოლიძე და ორიოდე თვის წინ პოლონეთში, სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედლების მომპოვებელ ქართველთა წინამძღოლი მერაბ მეტრეველი.

მწვრთნელებისა არ იყოს, საევროპო სარბიელიც ორია — თბილისის სპორტის სასახლე და ნუ გაგიკვირდებათ, ბაქოს დარბაზი?!

საქმის თავიდათავი ისევ ფულია — სასახლის ვეება სივრცის საერთაშორისო სტანდარტამდე გათბობა უზარმაზარი თანხა ღირს. ამდენად, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, სტუმარ-მასპინძელთა გუნდებისა და მსაჯთა აზერბაიჯანში წაყვან-წამოყვანა უფრო ეკონომიური გამოდის.

და ისევ ფული... წინასწარი გათვლით, ეს ყველაფერი ალბათ სამასი ათას ლარამდე დაჯდება. ეს ჩვენთვისაა ერთი შეხედვით წამაქცევეli თანხა, თორემ ქართველთა მეტოქეებს ბიუჯეტში იქნებ ორ-სამჯერ მეტი დოლარ-ევროები უჩხრიალებთ.

ერთი სიტყვით, საქართველოს ხელბურთის ასოციაციას სპორტის დეპარტამენტი, ოლიმპიური კომიტეტი, საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" და კერძო ინვესტორები თუ ამჯერადაც დაუდგებიან მხარში, ქართულ სახელბურთო ისტორიაში პირველი დიდი წარმატების რეალური ვარიანტი ხელიდან არ გაგვიფრინდება და მომავალი წლის ივნისში საპლეიოფო რაუნდში წარმატების შემდეგ უფრო დიდ გამარჯვებებზეც ვიფიქრებთ.

**გია ახალაძე**



# ახალი ანა, ნაღდი ვარსკვლავი




ანა ივანოვიჩი

**ქალები**
მონრეალი. კანადა. ჰარდი.
საპრიზო 1 340 000 $

**ფინალი**

**ანა ივანოვიჩი** (13, სერბეთი) — მარტინა ჰინგისი (7, შვეიცარია) 6:2 6:3

**პირველი** სერიოზული ტურნირი მოიგო ქალთა ჩოგბურთის ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა მოთამაშემ და უკვე ამოსულმა ვარსკვლავმა ანა ივანოვიჩმა. 18 წლის სერბმა მონრეალში ნაჩვენები უმაღლესი დონის თამაშით დაამტკიცა, რომ თავისი ნიჭის გამოყენება სათანადოდ შეუძლია და წესით, ერთი-ორ წელიწადში ელიტაშიც მყარად დამკვიდრდება.

ისე, ცოტა თუ მოელოდა სერბის გამარჯვებას, თანაც ამდენად იოლ წარმატებას, რადგანაც ფინალში მისი მეტოქე მარტინა ჰინგისი იყო. შვეიცარიელი გაცილებით გამოცდილიც გახლავთ და ერთი შეხედვით უფრო მრავალფეროვანი არსენალის პატრონიც. ამიტომაც ჰინგისი ფავორიტად ითვლებოდა.

თუმც ნურას უკაცრავად — ივანოვიჩმა ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნა ყოფილი ნომერ პირველი ჩოგბურთელი. თინეიჯერი სერბი იმდენად მძლავრად და ზუსტად, ამასთანავე აგრესიულად თამაშობდა, რომ შვეიცარიელი ძირითადად თავდაცვაზე იყო გადასული.

არადა, ივანოვიჩი თავიდან თითქოს ზედმეტად ნერვიულობდა, რის გამოც საწყისი რამდენიმე გათამაშებისას მარტივი შეცდომები დაუშვა, მაგრამ პირველივე გეიმში დაწყნარდა, დაიწყო და რა დაიწყო — კორტზე თითქოს მარტო თამაშობდა, გამოცდილი ჰინგისი კი სტატისტილა იყო.

მეორე სეტიც მთლიანობაში ასეთი გამოვიდა. ერთი ეგ იყო, რომ მარტინამ 3:3-მდე გაძლო, მაგრამ შემდეგ სერბი ისევ ჩაირთო, ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და მონრეალის ტრიუმფატორიც შეიქნა.

„თავიდან ცოტა ვნერვიულობდი. რა გასაკვირია, ჯერ ერთი, ასეთი დონის თამაში ჩემთვის უცხო ხილია, მეორეც, ჩემს გმირს, ჰინგისს ვეთამაშებოდი, თუმც დაწყნარება მალე მოვახერხე, რაც უმთავრესი იყო. მთლიანობაში მაღალ დონეზე ვითამაშე, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ" — ხარობდა ნამატჩევს ივანოვიჩი.

სერბისთვის ეს მეორე საკარიერო ტიტულია. აქამდე მას მხოლოდ კანბერაში ემარჯვა. მაგრამ ის პატარა, მეხუთე თანრიგის ტურნირი იყო. მონრეალის დონის შეჯიბრებები კი სლემტურნირებს თუ ჩამოუვარდება. ასე რომ, შეიძლება, დიდ ჩოგბურთში ეს ივანოვიჩის პირველი დიდ ნაბიჯად ჩაითვალოს.

მონრეალს არც ჰინგისი დატოვებს გულდაწყვეტილი. შვეიცარიელმა აქ ფინალში გასვლით შეძლო და 2002 წლის შემდეგ პირველად შეაღწია საუკეთესო ათეულში. მოკლედ, ჰინგისი ელიტას დაუბრუნდა.

**ბახა ლომაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემო ხელო, ჩემო მტერო

## კლაისტერსი მარჯვენამ დაადალატა

**US OPEN-ს** ახალი გამარჯვებული ეყოლება. ყოველ შემთხვევაში, ქალთა ტურნირს მაინც. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რადგანაც მარჯვენა ხელის მტევნის ტრავმის გამო „ფლეშინგ მედოუზის" კორტებზე გასვლას შარშანდელი ტრიუმფატორი კიმ კლაისტერსი ვერ შეძლებს.

ბელგიელმა ეს ტრავმა გასულ კვირას მონრეალში მიიღო, როცა წაქცევისას თავისი მრავალნატანჯი ხელის მტევანი დაიზიანა. შეგახსენებთ, რომ მტევნის ტრავმის გამო ბენილუქსელს 2004 წლის ნახევარი გაუცდა და მოსარჩენად ოპერაციის გადატანაც დასჭირდა.

კლაისტერსმა სწორედ ეს მტევანი დაარტყა კორტს უხერხულად. დაზიანება კი მოსალოდნელზე სერიოზული გამოდგა. ბელგიელს ორი თვე გაუცდება, US open-ი კი დამდეგ ორშაბათს იწყება. ასე რომ, კიმის ნიუ იორკში ჩასვლა გამორიცხულია.

ტურნირს მეორე დანაკლისიც ეყოლება ნიკლას კიფერის სახით. გერმანელიც მტევანს შეუწუხებია, მაგრამ ეს „როლან გაროსზე" მოხდა და კიფერს ქირურგთა სკალპელის ქვეშ დაწოლა მოუწია. მან ჯანზე მოსვლა ვერ მოასწრო და ამიტომ წლის ბოლო სლემტურნირსაც გამოაკლდა.

**ბახა ლომაშვილი**

# მაკას ამერიკა

## ჩახნაშვილის პირველი სლემმეტოქე ალბერტა ბრიანტია

**საქართველოს** პირველი ჩოგანი ქალი, **WTA**-ს კლასიფიკაციაში 177-ე ადგილზე მყოფი მაკა ჩახნაშვილი კარიერაში პირველად ცდის ძალას დიდი სლემის ტურნირზე — ბოლოდროინდელი წარმატებების წყალობით, მაკამ სეზონის ბოლო სლემტურინირის, ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა და, თუ „ფლეშინგ მედოუს" კორტებზე სამ მეტოქეს დაამარცხებს, ძირითად ბადეშიც მოხვდება.

**US open**-ის საკვალიფიკაციო ტურნირი წუხელ ღამით დაიწყებოდა. ჩახნაშვილის პირველი მეტოქე 26 წლის იტალიელი ალბერტა ბრიანტი გახლავთ, ვინც **WTA**-ს რეიტინგში 155-ეა და **US open**-ის საკვალიფიკაციო ტურნირზე 25-ე ნომრად გახლავთ განთესილი. ამ ბრიანტის თავის კარიერაში საუკეთესო, 148-ე ადგილი რეიტინგში ორი კვირის წინ ეკავა და დიდი სლემის ტურნირის ძირითად ბადეში ერთადერთხელ უთამაშია — წლეულს, „როლან გაროსზე" და პირველივე წრეში დამარცხებულა.

თუ ბრიანტის მოუგებს, მეორე წრეში ჩახნაშვილი ან ლუქსემბურგელ კლოდინ შოლს შეხვდება, ანაც ავსტრიელ დანიელა კიქსს. ეს კიქსი სავსებით უცნობი ჩოგბურთელია, აი, შოლი კი ამ ორი წლის წინ რეიტინგის 41-ე ნომერი იყო და დიდ ტურნირებზეც თამაშობდა, მაგრამ მერე მოუკლო და ახლა კლასიფიკაციაში მაკაზე უკან იმყოფება.

ჩახნაშვილმა მეორე ბარიერიც თუ გადალახა, მერე მესამე და გადამწყვეტ მატჩს ამ ოთხეულიდან ერთ-ერთთან ჩაატარებს — უზბეკი ვარვარა ლეპჩენკო, ვინც კვალიფიკანტთა შორის მე-12 ნომერი გახლავთ, ამერიკელი ჯამეა ჰემპტონი, იაპონელი ერიკა ტაკაო და 30 წლის პარაგვაელი ვეტერანი როსანა დე ლოს რიოსი.

**გია მუჯირი**

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3558 |
| 2. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3060 |
| 3. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 2883 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2739 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2167 |
| 6. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 2108 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1987 |
| 8. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1793 |
| 9. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1681 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1623 |
| 11. ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 1588 |
| 12. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1441 |
| 13. დინარა საფინა (რუსეთი) | 1416 |
| 14. მარი პირსი (საფრანგეთი) | 1411 |
| 15. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 1278 |
| 16. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 1252 |
| 17. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1173 |
| 18. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 958 |
| 19. ფლავია პენეტა (იტალია) | 899 |
| 20. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 849 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 2786 |
| 2. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2372 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2027 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1909 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1860 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1681 |
| 7. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 1486 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1481 |
| 9. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1229 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 1189 |
| 11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1106 |
| 12. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 997 |
| 13. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 912 |
| 14. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 895 |
| 15. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 713 |
| 16. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 711 |
| 17. ფლავია პენეტა (იტალია) | 695 |
| 18. ნა ლი (ჩინეთი) | 680 |
| 19. შაჰარ პირი (ისრაელი) | 679 |
| 20. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 657 |

# ცოტა პლუსი, ბევრი მინუსი

**მონრეალის** ქალთა სუპერტურნირი უამინდობის გამო დაგეგმილზე ერთი დღით გვიან დასრულდა და შესაბამისად, პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა ასოციაციამაც თავისი ახალი რეიტინგები, ჩვეულებისამებრ ორშაბათს კი არა, სამშაბათს გამოაქვეყნა.

**WTA**-ს კლასიფიკაციაში კვლავაც ათი ჩვენებურის გვარი ფიგურირებს. საქართველოს პირველიჩოგანი მაკა ჩახნაშვილი 158 სარეიტინგო ქულით 177-ე ადგილზეა და ეს ერთი პოზიციით უარესია წინა რეიტინგთან შედარებით. ოთხი ადგილით უკან დაიწია და 77,5 ქულით 197-ე საფეხურზე ჩაქვეითდა სოფო მელიქიშვილი. აი, ანა ტატიშვილმა კი პირიქით, ორი პოზიციით წინ წაიწია და 71,5 ქულით 313-ე ადგილზე აინაცვლა.

ქართველ ქალთა მოწინავე სამეულს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ათასეულში მყოფი სხვა ჩვენებურები — სალომე დევიძე 20,25 ქულით 602-ე (-2) ადგილზეა, მანანა შაფაქიძეს 15,5 ქულით 691-ე (+1) პოზიცია უკავია, ხოლო ია ჯიქია 8,5 ქულით 876-ე (-1) საფეხურზეა.

კიდევ ოთხი ქართველი ათასეულს მიღმაა. ტატიშვილისა და შაფაქიძის დარად მცირე პროგრესი განიცადა და ერთი ადგილით წინ წაიწია სოფო შაფათავამ, ვინც 5,25 ქულით 1065-ე პოზიციაზე იმყოფება. თეონა ცერცვაძე 4,5 ქულით 1134-ეა (-1), სოფო ქვაცებაიას 3,0 ქულა აქვს და 1284-ე (-4) ადგილი უკავია, ხოლო ნანა უროტაძე 2,25 ქულით 1380-ე (-5) საფეხურზე იმყოფება.

# მერიონ ჯონსიც შოკშია


AFP

**ყველა** სპორტსმენი, ვისაც დოპინგს აღმოუჩენენ, ამბობს, შოკში ვარ, გაოცებული ვარ, წარმოდგენა არ მაქვს, ანალიზში აკრძალული პრეპარატების კვალი საიდან აღმოჩნდაო. რაღა თქმა უნდა, გამონაკლისი არც სიდნეის ოლიმპიურ თამაშების სამგზის ტრიუმფატორი, ამერიკელი მერიონ ჯონსია, რომელმაც დოპინგზე წინა ორშაბათის ტესტი ვერ გაიარა. მერიონ ჯონსის კომენტარი ასეთია:

„როცა გავიგე, რომ A სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა, შოკში ჩავვარდი. მე უმალ მოვითხოვე, რომ B სინჯი იმდენად სწრაფად გამოუეკვლიათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამის თაობაზე საუბრის უფლება მხოლოდ ჩემს ვექილებს აქვთ. ამიტომაც, მანამ B სინჯის შედეგებს არ გამოაცხადებენ, არაფერს არ ვიტყვი“.

შეგახსენებთ, რომ მერიონ ჯონსი ერთხელ ორივე სინჯზე უკვე ჩაფლავდა, რისთვისაც ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. ახლა, თუ B სინჯის ანალიზიც დადებითი იქნება, სამუდამო დისკვალიფიკაცია არ ასცდება.

**ავთანდილ ბჟვიშელი**

# აურზაური რუსების გამო

**ესპანეთის** მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ ხოსე მარი ოდრისოლის განცხადება იმის თაობაზე, რომ გიოტებორგში ახლახან გამართულ ევროპის ჩემპიონატზე რუსმა ათლეტებმა დოპინგის წყალობით მიაღწიეს წარმატებას, უსაფუძვლო აღმოჩნდა.

პეკინში გამართულ იააფ-ის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს გუშინდელ სხდომაზე ოდრისოლმა ვერანაირი საბუთი ვერ წარმოადგინა იმის დასამტკიცებლად, რომ გიოტებორგში რუსებმა 34, მათ შორის 12 ოქროს მედალი, აკრძალული პრეპარატის გამოყენების შედაგად მოიპოვეს.

„მართალია, ამ სხდომის დღის წესრიგში რუსთა საკითხი ოფიციალურად არ ყოფილა, მაგრამ კულუარებში მას მაინც აქტიურად განიხილავდნენ, თუმცა ესპანეთის მძლეოსანთა თავკაცს რაიმე დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოუდგენია — ამბობს იააფ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი ნიკ დევისი — პირადად მე და საბჭოს სხვა წევრებმაც ოდროსოლს მისი გამონათქვამების გამო ვუსაყვედურეთ და ესპანელებს დაბეჯითებით ვთხოვეთ კიდეც, რომ მომავალში დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან თავი შეიკავონ. სამწუხაროდ, საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა იააფ-ის სამედიცინო და ანტიდოპინგური კომისიის თავმჯდომარე, დოქტორი ხუან მანუელ ალონსო. არადა, ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სწორედ მან გასცა დახურული ინფორმაცია რუსი მძლეოსნების ანალიზებში ჰემოგლობინის მომატების თაობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ალონსო თავისი პროფესიული საიდუმლოებების გამხელისგან თავს შეიკავებს.

ბოლოს დევისმა ისიც თქვა, რომ იააფი არც ოდრისოლს და არც ალონსოს ოფიციალურად არ დასჯის, თუმცა, ვფიქრობ, რომ მათ ბოდიში უნდა მოუხადონ რუს ჩინოვნიკებს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს როგორც პირადად, ისე საჯაროდ.

**ავთანდილ ბჟვიშელი**

# ესტეფანის სიკვდილი

## კაცი, რომელმაც ჯონსონ-დოპინგი შექმნა





**გასულ კვირას** 60 წლისა გარდაიცვალა სეულის ოლიმპიური თამაშების ერთდღიანი ჩემპიონის, სკანდალურად სახელგანთქმული სპრინტერის ბენ ჯონსონის მწვრთნელი ჯორჯ მარიო ესტეფანი, რომელიც თავის აღსაზრდელს დოპინგით ამარაგებდა.

შეგახსენებთ, რომ ბენ ჯონსონმა სეულში 100 მეტრზე რბენაში (9,79) ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო, მაგრამ მერე ანალიზებში სტანოზოლის კვალი აღმოუჩინეს, რის გამოც ის ჯილდოც ჩამოართვეს, მსოფლიოს რეკორდიც და დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს. ამ დოპინგ-სკანდალის მთავარი ფარული გმირი, სწორედ ესტეფანი იყო.

ესტეფანის გარდაცვალების მიზეზს გვამის გაკვეთის შემდეგ დაადგენენ.




სერგეი ლიახოვიჩი დიდ გულზეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძაღლო ქვეყანაში ლიახოვიჩი აყეფდა

## კლიჩკოს მაიმუნობის, ბებერი მასკაევისა და გასიებული კატების ამბავი

**პროფესიული** კრივის ყველაზე პრესტიჟული, ზემძიმე წონა პოსტსაბჭოთა მოკრივეთა საბატონოდ რომ იქცა, კარგად მოგეხსენებათ. ამიერიდან კი ყველაზე საინტერესო უნდა დაიწყოს — ყველასთვის გასაგებია, რომ ახლა ქამრების გაერთიანებისა და აბსოლუტური ჩემპიონობის მოსაპოვებლად გაჩაღდება დიდი ომი.

თუმც სანამ ბრძოლები გამართულა, ომი უკვე დაიწყო. დაიწყო პრესის ფურცლებზე, სადაც ყოველკვირეულად ვლადიმირ კლიჩკო, ნიკოლაი ვალუევი, სერგეი ლიახოვიჩი და ოლეგ მასკაევი ერთმანეთს ბაქიბუქსა და ენაჭარტალობაში ეჯიბრებიან.

ჯერ მოსულელო ვალუევმა ამოიდგა ენა და თავისი ვეება მუშტების ქნევით დაიგრუხუნა, ყველას გაჩვენებთ, რუსი დევკაცები ვინცავართო. რამდენიმე დღის წინ კლიჩკო „აჭიკჭიკდა“ — უკრაინელი უფრო დიპლომატიური, თუმც კი ძალიან ირონიული იყო, რაც დაცინვაში გადაიზარდა. კლიჩკო ყველა მეტოქეს გადასწვდა და სამივეს გაჰკრა კბილი.

როგორც ჩანს, უკრაინელის გამოცოცხლებამ ყველაზე მეტად ბელარუსი ლიახოვიჩი გააბრაზა და ისიც არ დარჩა ვალში თავის მეზობელს:

„ჩემი მიზანი აბსოლუტური ჩემპიონობაა. ბევრს კი ლაპარაკობენ, ამის მიღწევის ყველაზე კარგი შანსი ვლადიმირ კლიჩკოს აქვსო, მაგრამ... ეს რომ ასე არ არის, რინგზე დავამტკიცებ. ყველაზე ადრე მასთან ბრძოლა მწადია. კლიჩკო მაიმუნობს და პუბლიკაზე თამაშობს, როცა ამბობს თითქოს მასთან ჩხუბის მეშინოდეს. ერთ საიდუმლოს გაგანდობთ — უკრაინელს რამდენჯერმე შევთავაზე ბრძოლის გამართვა და მისი მენეჯერები ყოველთვის „ახლა არას“ ბუტბუტებდნენ. მასთან საბრძოლველად ადრეც მზად ვიყავი და ახლაც ასეა. ვერ გამიგია, ამდენს რატომ ბოდავს. ეტყობა, ლაპარაკი უყვარს“.

კლიჩკოს რომ დაემუქრა, ლიახოვიჩი არც სხვებს მოეშვა და ჰასიმ რაჰმანის დამცემ ოლეგ მასკაევსაც გადასწვდა:

„ისე ვარ აღზრდილი, რომ ვიცი, მოხუცების გაბრაზება უზრდელობაა, ამიტომ ოლეგზე ცუდს არაფერს ვიტყვი. ის, რაც მან ასეთ ასაკში (მასკაევი 37 წლისაა) შეძლო, პატივისცემას იმსახურებს. ისე, ოლეგს გამძლეობისა და გამარჯვებისკენ სწრაფვის გარდა, ახალი არაფერი უჩვენებია“.

საოცარია და ეს კაცი კლიჩკოზე ამბობს, ლაყბობა უყვარსო. თითქოს თვითონ თევზივით პირში წყალჩაგუბებული იყოს.

ლიახოვიჩმა არც პოსტსაბჭოთა მოკრივეთა წარმატებების მიზეზებზე საუბარი დაივიწყა:

„პოსტსაბჭოელები გაცილებით მაგრად, ჭკვიანურად და რაციონალურად ვვარჯიშობთ. ამერიკაში უდიდესი მოტივაციით ჩავდივართ და არც სწავლა გვეთაკილება. ჩვენ ვცდილობთ კრივის თავიდან ბოლომდე შესწავლას. ყოველდღიურად ვცდილობთ ახალ ნიუანსებში გარკვევას. ამერიკელებს კი ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ, ვარჯიშითაც თავს არ იკლავენ და გასიებულ კატებსაც დაემსგავსნენ. რინგზე გადიან და ჰგონიათ, რომ ნებისმიერს მხოლოდ თავისი ფიზიკური მონაცემების წყალობით მოუგებენ, თუმც კრივში ეგრე ვერაფერს მიაღწევ“.

**ბაჩა ლომაშვილი**



AFP მედინიდან

# ის ტაიგერია, სხვა ყველა გერია

აგერ, „უანმეიკერის“ უშველებელი თასი და აგერ, მისი მომგები საარაკო მეგოლფე ტაიგერ ვუდსი. ყვანჯის ჯადოქარმა პი ჯი ეის 88-ე ჩემპიონატშიც იპირველა, რომელიც ამ უქმეებზე ილინოისის შტატის ქალაქ მედინაში გაიმართა.

# სცხელა შულტაოს

სცხელა „შულტაოს“, პორტუგალიელი მხედრის, [illegible] რაპოშოს ფეხმარდ ბედაურს. სცხელა და [illegible] -კიდეც, ვითარცა საკუთარ პირმშოს, ისე ელოლიავებიან აახენელი ცხენმცოდნეები. ამ გერმანულ ქალაქში ცხენოსნობის მსოფლიოს თამაშები გახურებულა და 60 ქვეყნის 800 მხედარს მოუყრია თავი.



AFP აახენიდან




AFP კასაპელტიდან

გაზეთილ კაცთა ჭიდაობის ტრადიცია ძველთა-ძველია. აგერ, ეს ორი გაზეთილი ჯეილი ერთმანეთს ბრძოლისწინა სალამს აძლევს. ამბავი ბულგარეთში, სოფიის სამხრეთით მდებარე დაბა კასაპელტში ხდება, სადაც გაზეთილ მოჭიდავეთა მესამე საერთაშორისო ჩემპიონატი გახურებულა.

# რუსული ოქრო

რუსების, ევგენი იგნატოვისა და ივან შტილის აი, ასეთი მონადინება ოქროს მედლით დასაჩუქრდა სეგედში, მატიერის ტბაზე გამართულ კაცთა 200-მეტრიან საკანოე შეჯიბრებაში.



AFP სეგედიდან




# შკიპერული

ავსტრალიელი შკიპერი ოზ უარდლი თავისი საზღვაო ბედაურის მოთვინიერებას ლამობს, რათა წარმატებით დაძლიოს „ფიგარო სოლოს“ რეგატის მესამე ეტაპი, რომელიც ფრანგული სენტ-ჟილედან ირლანდიურ დინგემდე გადაჭიმულა

AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge